ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N3

სხდომის ჩატარების დრო:

26 იანვარი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ლ.სანიკიძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე,

ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან 34 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ბატონი კ.გურული.

სულ: 1 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: ი.უგულავა, დ.ერემეიშვილი, ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი მ.მამასახლისი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი

ე.გრიგორაშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ძალიან სასიამოვნოა უკრაინის მხარდაჭერა ამ ფორმებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ ვითარდება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან - უკრაინასთან მიმართებით. საერთო გამოწვევის პირისპირ ვდგავართ და მათ შორის მთავარი, ეს არის ოკუპაცია, ანექსია და ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენგანის ვალია, ამ ქვეყნის მოქალაქეებს დავუდგეთ გვერდით. ომი გლობალურად ცუდი პროცესია. მე ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განსაკუთრებულად აქტიურია ამ პროცესში და ჩვენს მეგობარ ქვეყანას ვუცხადებთ მხარდაჭერას. ვიმედოვნებ, რომ ის პროცესი, რომელიც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ არის გამოწვეული, მალე დასრულდება. ჩვენთვის მთავარია, რომ ჩვენი სვლა და მოქალაქეების არჩევანი ნატოსა და ევროკავშირთან მიმართებაში, ჩვენი არჩევანი დასავლური ინტეგრაციის, არის ურყევი. ეს პროცესი შეუქცევადი იქნება ყოველთვის, სანამ თითოეულ მოქალაქეს აქვს განცდა თავისუფლების. რაც შეეხება საკითხებს, რომელთან დაკავშირებით მსურს განცხადება გავაკეთო, ეს ეხება უშუალოდ საკრებულოს, როგორც ინსტიტუციას, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მოგვიწევს მსჯელობა მთელ რიგ საკითხებზე, მთელი რიგი ცვლილებებიდან გამომდინარე, რომელიც ორგანულ კანონში განხორციელდა, მათ შორის, თვითმმართველობის კოდექსშიც. მოგვიწევს პროცესი, რომელიც გულისხმობს საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, იმ მუხლებთან მიმართებაში, რომელიც მასში არის გაწერილი. ამ პროცესზე დავიწყებთ მუშაობას. მინდა გთხოვოთ, ოპოზიციურ ფრაქციებს, აგრეთვე, საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც

გაერთანებული არა ხართ არცერთ ფრაქციაში, ასევე აქტიურად მიიღოთ მონაწილეობა. მათ შორის მოვუწოდებ აკადემიურ წრესაც, რომელიც ამ პროცესში უნდა ჩაერთოს. ეს არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და ეს არის რეგლამენტი, რომელიც ერთიორად გააძლიერებს წარმომადგენლობით რგოლს და საკრებულოს საქმიანობას. გარდა ამისა, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ვიზრუნოთ ეთიკის კოდექსზეც, რომელიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ იმ შენიშვნებისა, რომელიც სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორიდან მოდიოდა. ამაზეც ვიზრუნებთ ერთობლივად. საკრებულოს იურიდიულ კომისიასთან ერთად პროცესი დაწყებული გვაქვს. ასევე მინდა გითხრათ, რომ გარდა საკანონმდებლო ბაზისა და დამატებითი მექანიზმების შემუშავებისა, იმისათვის, რომ საკრებულო გაძლიერდეს, ჩვენ გვჭირდება ტექნიკური დამატებითი საშუალებები, ამავდროულად მოქალაქეებს, რომ ჰქონდეთ საშუალება ინფორმაციის მიღებისა, მათ შორის იმ ელექტრონულ პლატფორმებზე, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს. კარგი იქნება, რომ ვიზრუნოთ ახალი ვებ გვერდის დეველოპედზე, შევიმუშაოთ ახალი ვებ გვერდი, რომელიც დაკავშირებული იქნება უშუალოდ საკრებულოსა და წარმომადგენლობით რგოლთან, ესეც ერთ-ერთი საკითხია, მათ შორის პროაქტიულად გამოქვეყნების, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისა. ასევე, მინდა გითხრათ, საკრებულოს სხდომის საქმიანობის, საკრებულოს კომისიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ გვჭირდება ტექნიკური აღჭურვა, გარდა გამაძლიერებლებისა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ჩვენ დაგვჭირდება დამატებითი რესურსების მოძიება, იმისათვის, რომ რეგლამენტირებული კენჭისყრების ჩატარების დროს, ხმის მიცემის აპარატებზე ვიზრუნოთ. ამას, ალბათ, დამატებით გავივლით, მათ შორის ოპოზიციურ ნაწილთან ერთად. მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კვარტლის პირველ ნახევარში, 6 თვის განმავლობაში უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად, რომ დავასრულოთ. ეს არის ის საკითხები, რაზეც მინდოდა, რომ გამემახვილებინა ყურადღება. კიდევ ერთი საკითხი, ეს არის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დაზუსტება. მნიშვნელოვანი საკითხია, მაქსიმალურად, ეს პოზიციები შეჯერდეს, არგუმენტაცია თქვენის მხრიდანაც იყოს წარმოდგენილი და შესაბამისად, ვიმსჯელოთ რაც შეიძლება ფართოდ ამ საკითხზე, რომელსაც ქალაქის მთავარი დოკუმენტი ქვია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „მოგესალმებით. ვუერთდები ჩვენი მოძმე ქვეყნის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, უკრაინის მხარდამჭერ განცხადებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს ადამიანები არიან ფრონტის წინა ხაზზე, ისე როგორც ჩვენ ვიყავით 2008 წელს და მაშინ, მათგან ძალიან ბევრი დახმარება მივიღეთ. უფრო მეტიც, ბევრი უკრაინელი დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. მე მინდა წინადადების სახით შემოგთავაზოთ, ჩვენ ტექსტი არ მოვიტანეთ შეგნებულად, რომ არ გახდეს დისკუსიის საკითხი. ჩვენ გვყავს უკრაინის დაძმობილებული ქალაქები, რომელთანაც მეც ხშირად მქონია ურთიერთობა. დარწმუნებული ვარ, თითოეულ თქვენთაგანს, მათ შორის, ბატონ სოსოს, ქალაქებთან: დნეპროპეტროვსკთან, დონეცკთან, ჟიტომირთან, ზაპოროჟიესთან და სხვ. აქტიური თანამშრომლობა გვქონდა. ქუთაისის მერის, საკრებულოს თავმჯდომარის ინიცირებული ჯგუფი მოაწერს ხელს, გავაგზავნოთ წერილები, შევიმუშაოთ ტექსტი, ბატონო ირაკლი, თუ თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი, სხდომაზე შესვენება გამოვაცხადოთ, რომ ეს ტექსტი ერთობლივად იქნას მომზადებული, ყველა პოლიტიკურმა ძალამ გავაგზავნოთ მესიჯი, რომ მიუხედავად პოლიტიკური განსხვავებისა, ჩვენ ამ დამეგობრებულ ქალაქებს, მზად ვართ აღმოვუჩინოთ შესაბამისი დახმარება. მე მახსოვს, 2008 წელს, მათი მერები, გუბერნატორები სათითაოდ რეკავდნენ, არათუ, დახმარებას გვიგზავნიდნენ, ყოველწამიერად კონტაქტზე იყვნენ და მხარდაჭერას გამოხატავდნენ. ვიცით, რომ თქვენც იგივე დამოკიდებულება გაგაჩნიათ უკრაინასთან დაკავშირებით და თუ გნებავთ, თქვენ შეიმუშავეთ ტექსტი, ჩვენ მზად ვართ და ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი ნაბიჯი იქნება ჩვენი უკრაინელი ძმებისადმი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პირველ რიგში, ბატონო გიგა, მინდა მოგილოცოთ დაბადების დღე. რაც შეეხება ტექსტს, ამ ტექსტის შემუშავებისა და ფორმულირების პროცესი ნაჩქარევი რომ არ იყოს, სხდომის დასრულების შემდეგ დავსხდეთ, შევიმუშაოთ ტექსტი და საკრებულოს სახელით, ადგილობრივი თვითმმართველობის სახელითაც, ორი ფრაქციის სახელითაც, ეს განცხადება გავაკეთოთ და გავუგზავნოთ დამეგობრებულ ქალაქებს. ამ

ყველაფერს ნამდვილად აქვს დიპლომატიური დატვირთვა და ის ტექსტი, რომელსაც შევიმუშავებთ, უნდა იყოს დიპლომატიურ ენაზე გამართული, გარკვეული მიზნობრიობა უნდა ჰქონდეს ამ მხრივაც, რომ არ მოგვიხდეს ნაჩქარევად ტექსტის შემუშავება, სჯობს დავსხდეთ და ამ ფორმატში მე ვფიქრობ, არ უნდა იყოს წინააღმდეგობა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე", ბატონი **გ.შუშანია:** „ჩვენ მზად ვართ სხდომის შემდეგ დავრჩეთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ გნებავთ თქვენ მოამზადეთ ეს ტექსტი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კიდევ ერთხელ ვამბობ, აქ საუბარია დიპლომატიურ ფორმაზე, ამავდროულად, მხარდაჭერის პროცესზე, რომელიც ერთიანია და ვფიქრობ, არ იქნება ამ საკითხში წინააღმდეგობა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 26 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნიდან გამომდინარე, დღის წესრიგის პროექტს პირველ ნომრად დაემატა საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის" შექმნის საკითხის განხილვის შესახებ"; დღის წესრიგის პროექტიდან, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დასკვნის საფუძველზე, ამოღებულ იქნა მე-11 და მე-14 საკითხები: (11.) „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" და (14.) „ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1080 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"; დღის წესრიგის პროექტს ბოლო ნომრად დაემატა საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; გამომდინარე აღნიშნულიდან, შეიცვალა დღის წესრიგის საკითხების რიგითობა), ცვლილებებით, წარმოადგინა საკრებულოს მე-3 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის საკითხის განხილვის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი იუზა უგულავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 – მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის /გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ეკა გრიგორაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

9. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

10. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად

მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

11. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით,

უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

15. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გრიგოლ წერეთელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,

მოქალაქე თალიკო გურეშიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

17. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ **ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბოდიშს მოვიხდი. ამ შენიშვნაში მინდა შესწორება შევიტანო. დღევანდელი სხდომა დაიწყო იმით, რომ რეგლამენტი სრულყოფილი არ არის, არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. პირველივე მუხლში, შენიშვნაში გიწერიათ, რომ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნიდან გამომდინარე, საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციით, დღის წესრიგის პროექტს პირველ ნომრად დაემატა საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის საკითხის განხილვის შესახებ“. მე გეტყვით, რომ ამ

რეგლამენტით ხელმძღვანელობა ფაქტობრივად შეუძლებელია. ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით, კონკრეტულად ჩვენს რეგლამენტში, არ არის ასახული ბოლო ცვლილებები, რომელიც თვითმმართველობის კოდექსში განხორციელდა. შესაბამისად, წერია, რომ მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებისა და პლატფორმის შესაბამისად, შეიძლება შეიქმნეს ფრაქცია და მასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება იყოს ამ ფორმით განხილული. ჩვენ, საკითხი დავაყენეთ თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად და იურიდიულ კომისიაში იყო განხილული, აქ საუბარი იყო არაპოლიტიკური ფრაქციის შექმნაზე, მე ვფიქრობ, რომ მიუღებელია იმ რეგლამენტით, რომელიც ეწინააღმდეგება თვითმმართველობის კოდექსს, ამასთან მიმართებაში და შესაბამისად, შენიშვნის სახით ჩაწერა დღის წესრიგში და შესაბამისად, საკითხის დაყენება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, მე ვახსენე რეგლამენტი. ბოლო ცვლილებები, რომელიც იქნა მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, ამ ცვლილებების თანახმად, რა თქმა უნდა, რეგლამენტში ეს პროცესი ბოლომდე ასახული ვერ იქნებოდა. კანონის შესაბამისად, ფრაქციის შექმნის საკითხის განხილვისას, ჩვენ ვსარგებლობთ უპირატესი კანონით, რომელიც ამ შემთხვევაში არის ორგანული კანონი. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს და რეგლამენტის მუხლს, რომელიც თქვენ ახსენეთ, არ შეეხება ფრაქციის შექმნა ან არ შექმნასთან დაკავშირებულ საკითხს. ამიტომ, უფრო ვრცლად განმარტებისათვის სიტყვას ქალბატონ თეა ჯუღელს გადავცემ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ვაკონკრეტებ კითხვას, რომელიც ჩემს მიერ იყო დასმული. ჩემს მიერ არის დასმული საკითხი, რომ რეგლამენტი არ არის შესაბამისობაში მოყვანილი თვითმმართველობის კოდექსთან. ამ საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე არის მიუღებელი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „მოგესალმებით. ბატონო ბესო, ჩვენც,

რა თქმა უნდა, ვიფიქრეთ ამ საკითხებზე. ამაში არ არის ორი აზრი, რომ რეგლამენტი არის კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანი, არა მხოლოდ კოდექსთან, არამედ, არსებულ რეალობასთან მიმართებაში. ის საკმაოდ მოძველებულია და ჩვენ არ ვცხოვრობთ ისეთ მდგრად და სტაბილურ სახელმწიფოში სამწუხაროდ, რომ არ საჭიროებდეს ცვლილებებს. არამხოლოდ საკრებულოს რეგლამენტი, არამედ, ორგანული კანონიც საჭიროებს ამას. ამ შემთხვევაში, რეგლამენტის მხოლოდ ტექნიკური, პროცედურული ნაწილი არის გამოყენებული. ამიტომ, არის მითითებული. შინაარსობრივად, ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით, რეგლამენტის ჩანაწერს ჩვენ არ ვეყრდნობით გადაწყვეტილების მიღებისას. რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩვენ გვეუბნება, რომ ფრაქციის შექმნის შესახებ დასკვნას იურიდიულ საკითხთა კომისია გადასცემს ბიუროს. იმ შემთხვევაში, თუ ეს დასკვნა არის უარყოფითი, ბიურო განიხილავს და შემდეგ გადის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. სხვა შემთხვევაში, თუ დადებითია დასკვნა, საკრებულო მხოლოდ ცნობად იღებს, როგორც ეს გავაკეთეთ ჩვენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ფრაქციების შექმნისას პირველივე სხდომაზე 2021 წლის 3 დეკემბერს. ამიტომ, რეგლამენტის ეს ნაწილი, რაც არ უნდა შესაბამისობაში მოვიყვანოთ კანონმდებლობასთან, პროცედურულად ვფიქრობ, რომ არ შეიცვლება. ტექნიკურად პროცედურა არის დადგენილი, რომელიც სავსებით სამართლიანია, თუ უარყოფითია, უნდა გაიაროს უფრო მეტი პროცედურა. გავიდეს ბიუროზე დასკვნა, ბიურომ უყაროს კენჭი და შემდეგ საკრებულოს სხდომაზე ეყაროს კენჭი, ამიტომ, შინაარსობრივად ფრაქციის შესახებ შექნის გადაწყვეტილების მიღებაში რეგლამენტი ამ შემთხვევაში მონაწილეობას არ იღებს და არ ვეყრდნობით რეგლამენტის არც ერთ სიტყვას შინაარსთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ერთ რეპლიკას გავაკეთებ, საკითხი პირდაპირ ასე წერია: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის საფუძველზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „შემიძლია რეგლამენტი მოგაწოდოთ ბატონო ბესო. მეტიც, შემიძლია

მოგაწოდოთ ეს კონკრეტული მუხლი, რომ უფრო გასაგები იყოს. აქ საუბარია რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლითაც საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია განიხილავს ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს შესაბამის დასკვნას. ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი შეიტანება საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში და განიხილება რიგგარეშედ. საკრებულო, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, დასკვნას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საკრებულო, ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით. საკრებულოს მიერ ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. შემიძლია მოგაწოდოთ ეს ჩანაწერი, რომ უფრო კარგად გაეცნოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ყველა იძახით, რომ რეგლამენტი არის მოსაწესრიგებელი, შესაბამისობაში მოსაყვანი. მე ვიძახი, რომ ვიდრე რეგლამენტი არ მოვა შესაბამისობაში, ამ საკითხს ნუ განვიხილავთ. თუ შეიძლება ამოვიღოთ ეს საკითხი, ეს წინადადება დააყენეთ კენჭისყრაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, ქალბატონმა თეამ განგიმარტათ, მე მუხლი წაგიკითხეთ, რეგლამენტის ეს ნაწილი ეხება უშუალოდ იმ საკითხს, რომელიც დღის წესრიგის ცვლილებას უკავშირდება. დამატებით, ფრაქციასთან დაკავშირებით, გადავალთ პირველ საკითხზე და შეგვიძლია პირველი საკითხის განხილვისას ვიმსჯელოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-3 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს

33-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, კ.გაბუნია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, წინააღმდეგი: 9 წევრი, ქალბატონები: ხ.არველაძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ბატონები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა, ქალბატონებმა: ქ.ხურციძემ, ა.კოხრეიძემ, ბატონებმა: გ.შუშანიამ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის საკითხის განხილვის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** წარმოადგინა განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ**“.

ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** აქვე **განმარტა:** „თავდაპირველად, წარმოგიდგინეთ განკარგულების პროექტი, ახლა წაგიკითხავთ შესაბამის დასკვნას, ვინაიდან, ამ განკარგულების საფუძველი არის იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა, იგი უფრო ვრცელია, რომელშიც დეტალურადაა ახსნილი საკრებულოში ამ ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის მიზეზი.“

ამის შემდეგ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** სხდომაზე წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის თაობაზე, საკრებულოს წევრების: კობა გურულის, ბესიკ ბრეგაძისა და ანა კოხრეიძის განცხადების განხილვის თაობაზე“** .

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ“ განკარგულების პროექტი და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის თაობაზე, საკრებულოს წევრების: კობა გურულის, ბესიკ ბრეგაძისა და ანა კოხრეიძის განცხადების განხილვის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი **თ.ჯუღელის** მიერ, **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ“** განკარგულების პროექტისა და **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის თაობაზე, საკრებულოს წევრების: კობა გურულის, ბესიკ ბრეგაძისა და ანა კოხრეიძის განცხადების განხილვის თაობაზე“** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, დაიწყო **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“** შექმნის საკითხის განხილვა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „მე მინდა ჩემი აზრი დავაფიქსირო ამ ფრაქციასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლები, ეს კონკრეტული პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს. ჩემი აზრით, კანონმდებლობის ეს მუხლები ჩაწერილია ერთადერთი მიზნით, რომ მცირე პარტიებს არ მიეცეთ ფუნქციონირების, მომავალი საქმიანობის საშუალება. ბატონი ბესო და ქალბატონი ანა, როგორც დამოუკიდებელი წევრები ისე საქმიანობენ, როგორც საკრებულოში, ისე კომისიებში. ვერავინ იტყვის, რომ ბატონი ბესო, ან ქალბატონი ანა წარდგენილია ფრაქციის თავმჯდომარედ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი ხელოვნური ფრაქცია შეიქმნეს. აქ საუბარია იმაზე, რომ ადამიანი, რომელიც წარმოადგენს პროდასავლურ პარტიას, შეიძლება ბევრი

განსხვავებული ხედვა გააჩნდეს, ბატონ კობა გურულს და მის პოლიტიკურ ძალას ვგულისხმობ, მიეცეს ნორმალური საქმიანობის საშუალება. აქ იგულისხმება ბიუროს სხდომებში მონაწილეობა, ფრაქციის ურთიერთობა სხვადასხვა სამსახურებთან. თავად ბატონი კობა მაჟორიტარობის კანდიდატი იყო, მაჟორიტარებსაც განსხვავებული დღის წესრიგი აქვთ. მე არ ვაპირებ იმის მტკიცებას, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, იურიდიულ განხილვებში შესვლას, მაგრამ პოლიტიკურად, ხელოვნურად არის შექმნილი, რომ მცირე პარტიები დაიჩაგრონ, არ მიეცეთ ნორმალური საქმიანობის საშუალება. მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ეს რეალობა შეიცვლება არამარტო ჩვენთან, არამედ, მთელს საქართველოში. არაფერი არ დაშავდება, არანაირი ინტერესი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ გააჩნია გარდა ერთადერთისა, რომ ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, მცირე იქნება თუ მსხვილი, მიეცეს ნორმალური საქმიანობის საშუალება. მათ შორის, მაჟორიტარებს, რომლებიც ვალდებულებებით არიან დახუნძლულები, ვიდრე მაგალითად, მე, ან სხვა ადამიანები. ამაში დამემოწმებიან მაჟორიტარები, რომლებიც აქ ბევრნი არიან, მათ შორის უმრავლესობიდან. მათ გაცილებით უიოლდებათ, ხელისუფლების წარმომადგენლები ხართ და თქვენთან კომუნიკაცია უფრო გამარტივებულია. ეს პოზიცია მინდოდა დამეფიქსირებინა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, მე შევეცდები წარმოგიდგინოთ საპირისპირო მოსაზრება არგუმენტაციებით, როდესაც ჩვენ ამ პოლიტიკურ საკითხს განვიხილავთ, აქ არის საუბარი იმაზე, რომ ერთ პოლიტიკურ პარტიას და პარტიის მიერ წარდგენილ წევრებს ხელოვნურად არ შეეძლოთ დამატებითი პილიტიკური ფრაქციების შექმნა. რაც შეეხება მცირე პარტიების წარმომადგენლებს, მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დღევანდელი საკრებულოს ოპოზიციური წარმომადგენლობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ ფორმაციის საკრებულო ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას ხელს შეუწყობს. მეტიც, მე შემიძლია გითხრათ, თუ უშუალოდ, ფრაქციის შექმნა ეხება პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ პლატფორმაზე წარმომადგენლობას, რომელსაც თუნდაც პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“ (ბატონი კ.გურული) და პარტია „საქართველოსათვის“ წარმოადგენენ საკრებულოში (ქალბატონი ნინო და ქალბატონი

ელეონორა), ამ შემთხვევაში აქვთ საშუალება შექმნან ფრაქცია. ორგანული კანონი კრძალავს ერთი პარტიის მიერ შესაძლებლობას, შექმნას რაიმე დამატებითი ბერკეტი საკრებულოში და ინსტიტუციაში. პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ 1 ან 2 წარმომადგენელი, შეუძლიათ შექმნან ფრაქცია და მიიღონ ინსტიტუციურად ის პოლიტიკური ბენეფიტი, რაც ფრაქციას გააჩნია. ამიტომ, ეს საკითხი პირიქით შეგვიძლია აღვიქვათ, ვინაიდან, სწორედ ამ კანონის შესაბამისად, სხვა პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც წარმომადგენლები ჰყავთ საკრებულოში, არ არიან ისეთ პოზიციაში, რომ მათ ფრაქციის შექმნის საშუალება არ მიეცეთ, პირიქით, ეს კანონი აძლევს ამის საშუალებას. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფრაქციას არ ქმნის ერთი ადამიანი და ქმნის სამი ადამიანი. მე აქვე მინდა განვმარტო, რომ ბატონმა კობამ ითხოვა საკრებულოს სხდომაში დისტანციურად მონაწილეობა, მე ვთხოვე საკრებულოს აპარატის შესაბამის განყოფილებას, თუმცა, როგორც ვიცი, ტექნიკურად არ მოხერხდა მისგან მონაცემების დროზე მოწოდება და თუ ეს საკითხი მოგვარებულია, გთხოვთ, ქალბატონო თეონა, ბატონი კობას ჩართვა უზრუნველყოთ. ვინაიდან, მისი მონაწილეობა დისტანციურად არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი. თუ საკითხი მოაგვარა და გადმოგზავნა მისი მონაცემები, შეგვიძლია ჩავრთოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი **თ.მელქაძე:** „ჯერ-ჯერობით არ გადმოუგზავნია არანაირი მონაცემი და თუკი მოგვაწვდის, ჩავრთავთ ბატონ კობა გურულს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „წინა საკრებულოში მმართველ პარტიას ჰყავდა ოთხი ფრაქცია, მაშინ, არავის მოუტანია არგუმენტად, რომ ეს ფრაქციები ხელოვნურად იყო შექმნილი. ლოგიკას რომ გავყვეთ, საკრებულოს ნებისმიერ წევრს, ადამიანს, თქვენი გუნდის წევრი იქნება თუ ჩვენი, ხედვები ეცვლება. ხვალ რომ ჩათვალოს რომელიმე დეპუტატმა, რომ იმ პოლიტიკურ ძალას ვერ უკავშირებს თავის მომავალს, ამ კანონით ხომ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს არა აქვს საშუალება

დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი დღის წესრიგი, მითუმეტეს, თუ მაჟორიტარია. ჩვენ უფრო მსხვილი პარტიის წარმომადგენლები ვართ და მცირე პარტიების დამცველებად გამოვდივართ. ბატონი ბესო, ქალბატონი ანა, დამოუკიდებლად მოღვაწეობენ, უფრო მეტიც, თავმჯდომარედ ვირჩევთ არა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, არამედ, ბატონ კობა გურულს. მის პარტიასა და ჩვენს შორის იყო არანაკლები დისკუსია, ვიდრე ჩვენს პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. წინა მოწვევის საკრებულოზე, როდესაც ხელისუფლებას ოთხი ფრაქცია ჰყავდა, არავის აწუხებდა, რომ ხელოვნურად იყო შექმნილი. კანონი გაძლევდათ საშუალებას, მაგრამ კანონი ისე შეცვალეთ, რომ ადამიანებსა და პატარა პოლიტიკურ პარტიებს არ მიეცეთ ნორმალური საქმიანობის საშუალება. მუხლებს არ განვიხილავ, ბევრი რამ ნაჩქარევად არის მიღებული, ამაზე შეგვიძლია უსასრულოდ ვისაუბროთ, დავანებოთ ამას თავი, კიდევ ერთხელ ვამბობ, კარგი იქნება თუ მცირე პოლიტიკურ პარტიებს ექნებათ ნორმალური ფუნქციონირების საშუალება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, კიდევ უფრო კონკრეტული რომ ვიყო საზოგადოებისათვის, რა შემთხვევაში შეუძლიათ ფრაქციის შექმნა პრაქტიკულ მაგალითს მოგიყვანთ. პარტია „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი“ საკრებულოში წარმოდგენილია 1 წევრით, პარტია „საქართველოსთვის“ საკრებულოში წარმოდგენილია 2 წევრით, ორივე პარტია არც თუ ისე მცირეა, თუმცა, ერთს ჰყავს 1 წარმომადგენელი, მეორეს კი-2, მათ თავისუფლად შეუძლიათ საკრებულოში, რომელ პლატფორმასაც აირჩევენ, არ იზღუდება პარტიების წარმომადგენლობის მიხედვით ფრაქციის შემადგენლობა. მე ამის თქმა მინდა და პრაქტიკული მაგალითი მოვიყვანე. ამას ვუპირისპირებ შენს მოსაზრებებს. რაც შეეხება წინა საკრებულოში მმართველ ძალას რამდენი ფრაქცია ჰქონდა, მაშინ კანონი ამას არ ზღუდავდა. წინა მოწვევის საკრებულოში თქვენც გქონდათ საშუალება, უბრალოდ, ნაკლებად მცირე წარმომადგენლობით იყავით წარმოდგენილნი, ამიტომ, არ მოგეცათ ამის საშუალება, კანონით გქონდათ მინიჭებული ამის უფლებამოსილება და ამას წინ ვერ აღვუდგებოდით. ასევე, თუ ვინმე დატოვებდა პოლიტიკურ პლატფორმას, შეეძლო შემოერთებოდა თქვენს პოლიტიკურ გუნდს. თუმცა,

ასეთი რამ არ მოხდა. მე ვფიქრობ, ამ საკითხს განმარტება მიეცა იურიდიული კუთხით, შესაბამისი კომისიისა და სპეციალისტების, იურისტების მხრიდან, დამატებით დღის წესრიგი თუ ამ საკითხის ირგვლივ შეიქმნება, მზად ვართ ვიმსჯელოთ, ნებისმიერი ფორმატით და ნებისმიერ ინსტიტუციაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „იქედან გამომდინარე, რომ ბატონმა გიგამ რამდენჯერმე თქვა, რომ შეხედულებები იცვლება. ბატონო ბესო, მე როგორც ვიცი, თქვენ ბრძანდებით, ქალაქის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე. ხომ არ აპირებთ პარტიიდან გასვლას და პირველი ნაბიჯები ხომ არ არის, პარტიიდან გასვლის?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „უფრო საინტერესო შეკითხვას დავსვამ, კითხვაზე კითხვით მინდა გიპასუხოთ. მიუხედავად იმისა, რომ ვარ ქალაქის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, მოდით ერთი წამით პოლიტიკური შეხედულებები გვერდზე გადავდოთ და ქალბატონ თეასთან მექნება შეკითხვა, ვწერ განცხადებას და მინდა ოცნების ფრაქციაში შემოსვლა. მაქვს უფლება თუ არა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „არა, ბატონო ბესო, კანონის შესაბამისად არ გაქვთ, იმიტომ, რომ რეალურად კანონმდებელმა ჩაკეტა გზა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მეორე შეკითხვაც ქალბატონ თეასთან მაქვს. დასკვნის საფუძველზე, რომელიც იურიდიულმა კომისიამ მოამზადა, კობა გურული არ წერია აკრძალვაში, აკრძალვაში, ხაზგასმით ვამბობ, ანა კოხრეიძესა და ბესო ბრეგაძეს არ შეუძლიათ შექმნან ფრაქცია, ასე წერია. საქართველოს პარლამენტში და პარლამენტის რეგლამენტში, არის იგივე ჩანაწერი, რაც თვითმმართველობის კოდექსში, რომ ერთი პარტიით წარდგენილ წევრებს არა აქვთ ერთზე მეტი ფრაქციის შექმნის უფლება და გვაქვს 6 ფრაქცია. აქედან „ლელოს" ფრაქციაში, იგივე ჩანაწერის საფუძველზე, სამადაშვილი არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სიით წარდგენილი, ისევე როგორც არსებობს ჯგუფი „შარლ მიშელი", შესაბამისად არსებობს

პარლამენტში ამ ტიპის ფრაქცია, მასში გრიგოლ ვაშაძეა „ნაციონალური მოძრაობიდან“ წარდგენილი და ჩვენ ქუთაისში რას ვიგონებთ ასეთს ახალს, რომ ქუთაისში არ შეიძლება ფრაქციის შექმნა, ან პარლამენტში უფრო უჭკუოები არიან, ვიდრე ჩვენ ვართ. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება ქალბატონო თეა და თუ შეიძლება, რომ ამ კითხვაზე გაგვცეთ პასუხი. თქვენა რა ფორმითაც წარმოადგინეთ და კენჭი უნდა ეყაროს ამ საკითხს, არსებითად მნიშვნელოვანია, წინასწარ დავასწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ უარყოფის შემთხვევაში, მე და ჩემი მეგობრები ვაპირებთ ამ საკითხზე სასამართლოში დავას და იცოდეთ, რომ კომპეტენციაზე, მათ შორის ცოდნაზე, მათ შორის განათლებაზე, მათ შორის გამოცდილებაზე, მათ შორის ცოდნის გაზიარებაზე, აბსოლუტურად ყველაფერზე იქნება საუბარი და აპელირება ჩვენის მხრიდან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „ბატონო ბესო, ამ თემაზე კომისიის სხდომაზეც ვისაუბრეთ. ჩვენ დამსწრე საზოგადოებას ვაცნობეთ, კომისიის ამ კონკრეტული საკითხის განხილვის დროს ჩართვა ვთხოვეთ ყველა დაინტერესებულ პირს, მოვიწვიეთ ყველა, ვისაც სურდა და შესაბამისად, ოქმიც არსებობს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით და მოველით, რომ თქვენ ამ საკითხს სასამართლოში გააგრძელებთ. ჩვენ, საერთოდ არ ვართ წინააღმდეგნი კანონით დადგენილი ფორმებით, სამართლებრივად საკითხების განხილვისა. კომისიის სხდომაზე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, სადაც ორი იურისტია, იქ სამი და ოთხი აზრი ყოველთვის არსებობს. იმიტომ არის, რომ სამი ინსტანციის სასამართლოში ერთი და იგივე კანონით, ერთი და იგივე შემთხვევაზე, შეიძლება საერთოდ სხვადასხვა გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. სიამოვნებით შევასრულებთ და აღვასრულებთ სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება მიღებული, თუნდაც ამ გადაწყვეტილებას ჩვენ შინაგანად არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ სასამართლო რასაც იტყვის, იქნება ის ბოლო სიტყვა აბსოლუტურად. ჩვენ, პრინციპული წინააღმდეგნიც, რომ ვიყოთ, პრინციპული წინააღმდეგობა არც გვაქვს და არც შეიძლება ვიყოთ. სამწუხაროდ, ქუთაისის საკრებულოს არა აქვს უფლება განიხილოს, რამდენად სამართლიანია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. ჩვენ არ გვაქვს უფლება პარლამენტის ანალოგიით შევქმნათ ფრაქცია

საკრებულოში. ჩვენ გვბოჭავს ამაში ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ. მე არ მაქვს ჩემს თავზე წარმოდგენა, რომ კანონმდებელზე მეტი ცოდნა მაქვს. მათ ალბათ, ჰქონდათ კონკრეტული ჩანაწერის გაკეთების მიზეზი. ჩემი პოზიცია არის ის, რომ ჩანაწერი არის აბსოლუტურად თავისუფალი იმ თვალსაზრისით, რომ კანონმდებელმა გაითვალისწინა ამომრჩევლის ნდობის ხარისხი. ფრაქციაში სამი წევრი მაინც უნდა იყოსო, რომ წერია, ანუ, იმ პარტიებს ეძლევათ ფრაქციის შექნის უფლება, რომელსაც მინიმუმ სამი წევრი მაინც ჰყავთ. ერთი ან ორი წევრი თუ ჰყავთ, ფრაქცია ვერ შეიქმნება, მინიმუმ სამი წევრი უნდა იყოს. დასკვნაში თქვენი და ქალბატონი ანას სახელი არის ნახსენები, იმიტომ, რომ თქვენი წარმდგენი პარტიის მიერ შექმნილია ფრაქცია საკრებულოში. ამ კუთხით არის თქვენი სახელი მოხსენიებული დასკვნაში. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ფუნქციონირებს საკრებულოში. ეს ფრაქცია რომ არ ფუნქციონირებდეს, მაშინ, თქვენ შექმნიდით თქვენი წარმდგენი პარტიის საფუძველზე ფრაქციას. ეს პოზიცია იყო კომისიის სხდომაზე, ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ და დამსწრე საზოგადოებისათვის გასაგებია. თუ თქვენ გადაწყვეტთ სასამართლოში დავას, ეს იქნება საინტერესო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მიუხედავად თქვენდამი პატივისცემისა, ვიცით თქვენი პროფესიონალიზმი და საზოგადოებამაც კარგად იცის, მაგრამ იურიდიული კომისიის თავმჯდომარისგან ამ განმარტების მიღება, რომ „სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება კანონის შესაბამისად,“ კანონმდებლებმა ამ საკითხზე არ ვიმსჯელოთ და დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას... ჩვენ, ადგილობრივ დონეზე ვართ კანონმდებლები და იმ პასუხის მიღება, რომ სასამართლომ გადაწყვიტოს ეს საქმე, ცოტა მიუღებელი და უხერხულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „ბატონო ბესო, ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ორგანულ კანონში ცვლილება შევიტანოთ. მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ და საკმარისად წარმოვადგინე არგუმენტები. სასამართლოს წარმოდგენა არა მგონია,

ცუდი ტონი იყოს იურისტისთვის. ჩვენ კანონს ასე განვმარტავთ, იმპერატიულია ეს ნორმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მითუმეტეს, როდესაც კანონს ასეთი განმარტების უფლება აქვს. უფლება აქვს, როგორც ხელისუფლების რგოლს, კანონის განმარტების. ამ შემთხვევაში მე არ მიგითითებთ თქვენ კონკრეტულ გზაზე, მე ვახსენე, რომ ნებისმიერი ფორმატით შეგვიძლია ამაზე ვიმსჯელოთ. თქვენ აქ მოიყვანეთ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და პარლამენტის რეგლამენტის შედარება. თქვენ ალბათ, კარგად არ იცნობთ პარლამენტის რეგლამენტს. იქ არის გარდამავალი დებულებები, რომელიც არეგულირებს ამ საკითხებს და იმ უფლებას, რომელიც თქვენ კონკრეტულად ახსენეთ. ჩვენ ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლით. აქ შავით თეთრზე წერია, რომ საკრებულოში ერთი პარტიის მიერ წარდგენილ წევრს არ შეუძლია შექმნას ერთზე მეტი ფრაქცია. აქ, დამატებით ზოგად დებულებებს თუ მოვიყვანთ, რომელიც ამ კანონის ჩანაწერშია, ზოგად მუხლებს, აქ იმპერატიულად წერია, კერძო ნორმა, რომელიც უშუალოდ ეხება საკრებულოს წევრს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი**: „აქ გვიწერია, რომ ფრაქციის შექმნა შეგვიძლია, როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე, შესაბამისად, ბატონი ბესო ბრეგაძე და ქალბატონი ანა კოხრეიძე ქმნიდნენ ფრაქციას, არაპარტიულ საფუძველზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „და ჩვენ არ გვითქვამს უარი, რომ ფრაქციის შექმნა არ შეიძლება არაპარტიულ საფუძველზე. ჩვენი გადაწყვეტილების ამოსავალი არის ის, რომ უკვე ფუნქციონირებს ფრაქცია, რომელიც თქვენი წარმდგენი პარტიის ინტერესებს გამოხატავს. ბატონმა ირაკლიმ მაგალითი მოიყვანა, საკრებულოში 5 წევრი გვყავს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მათ შორის: კობა გურულს, ელეონორა არჩაიასა და ნინო ჩიკვაშვილს არ აქვთ საკრებულოში ფრაქცია,

არც მათ წარმდგენ პარტიებს საკრებულოში არ აქვთ ფრაქცია. ამ სამ ადამიანს შეუძლია შექმნას ფრაქცია კანონის ამ მუხლის განმარტებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე ახალი ადამიანი ვარ პოლიტიკაში, ამ სფეროში და საკრებულოში. ამ კანონის მუხლები, პუნქტები, ქვეპუნქტები, რომელიც ძალიან დამღლელია და მიუღებელია, ადამიანებზე უნდა იყოს მორგებული. იმ ადამიანებზე, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში შემოდიან საქმის გასაკეთებლად და მათ ხელს უნდა უწყობდეს. ამას ვისმენ უკვე მესამე სხდომაა. მე, ანა კოხრეიძეს, საკმაოდ ბევრი საქმე მაქვს, იმიტომ არ შემოვსულვარ აქ, რომ საქმე არ მაქვს. არც ღირსების მედლები მაკლია და არც სახელობითი ლაურეატობა. მე აქ იმიტომ შემოვედი, რომ გავაკეთო ის საქმე, რასაც ადამიანებისადმი გვერდით დგომა ჰქვია. ღამის 2 საათზე რომ დამირეკავს ამომრჩეველი, მანქანით ხან სად გავრბივარ, ხან სად. რა ქვეპუნქტებით მელაპარაკებით ხალხნო? არავინ კითხულობს, რა გვიჭირს და რა გვილხინს მაჟორიტარებს და რამხელა შრომას ვდებთ ამაში. თქვენც მაჟორიტარი ბრძანდებით ბატონო ირაკლი და იცით, რამდენად შრომატევადია ეს საქმე. არ შემოვდივარ ამ იურიდიულ საკითხებში, მაგრამ ეს 3-4 ადამიანი, დავსხდებოდით, რაღაცას მოვიფიქრებდით და გავაკეთებდით. მე, როგორც მაჟორიტარი ანა კოხრეიძე, გთხოვთ, ყოველ საკრებულოს სხდომაზე, ჩემს უბანში თუ რაიმე პრობლემები მაქვს იმაზე ვისაუბრებ. ხვალ შემოვა მარტოხელა მრავალშვილიანი დედა და მას უნდა დავეხმაროთ, ჩვენ გვაქვს ურთულესი პრობლემები, გადაუხდელობის გამო არ მიეწოდება ოჯახს გაზი და 4 ბავშვი ზის გაყინული. როდესაც ბატონ ვალერის ვესაუბრე, ვერ ვიტყვი, რომ არ მომისმინა და მდგომარეობაში არ შევიდა, მაგრამ მან მითხრა, რომ ასეთი ძალიან ბევრია. სამარცხვინოა, რომ „ქართულ ოცნებას“ ძალიან ბევრნი გყავთ ასეთები. არის ასეთი პრობლემები და ჩვენ ასეთ პრობლემებზე უნდა ვისაუბროთ. მე აქ ასეთი საქმეების გამო ვარ, თორემ მოცლილი კი არ ვარ, ამისათვის არც ხელფასი მეძლევა და არც არაფერი. 680 ლარი მაქვს ხელფასი, როგორც მსახიობს. ძალიან გთხოვთ, ყოველ საკრებულოს სხდომაზე, მომეცით ნახევარი საათი, მე მექნება აქ პრობლემებზე საუბარი, აქ იქნება მერიის წარმომადგენლები, თითოეული მათგანი ჩაინიშნავს, თუ რა არის გასაკეთებელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „მაინცადამაინც სხდომაზე უნდა დასვათ ეს საკითხები ქალბატონო ანა? მაინცადამაინც თვის ბოლოს უნდა დაველოდოთ, რომ ეს საკითხები დასვათ საკრებულოს სხდომაზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე“ ბატონი, **გ.შუშანია:** „მე მართლა მინდა შევეხო იმ კონკრეტულ პრობლემას, რომელზეც ქალბატონი ანა საუბრობს. მრავალშვილიანი ოჯახია, რომელიც ფიზიკურად ვერ იხდის გადასახადებს, რაღაც თანხა აიკრიბა და ჩვენც მივეხმარეთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ სოსოს ვთხოვო დახმარება. გვაქვს ერთჯერადი დახმარების პროგრამა და სარეზერვო ფონდიდან არის შესაძლებელი დახმარების გაწევა, ძალიან შეჭირვებული ოჯახია და ფიზიკურად ვერ ხერხდება თანხის შეგროვება, რომ ეს დავალიანება გასტუმრებული იქნეს. კვების პროდუქტები შეძენილია და კარგი იქნება თუ ერთჯერადი დახმარების სახით, გადავუჭრით ამ პრობლემას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონო ანა, მე პირადად გეტყვით ერთ რაიმეს, ჩვენი დღევანდელი საკითხი არის მიმართული ადამიანების საჭიროებებზე. არც ერთი თანამდებობის პირი აქ პოლიტიკური ბენეფიტისათვის არ ზის, ეს არის შესაძლებლობა, რომ ადამიანებს დავეხმაროთ. აღმასრულებელი, მის ხელთ არსებული ბერკეტით, მზად არის, რომ მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს. თითოეულ ასეთ ადამიანს დაუჭიროს მხარი. ასეთ პროცესებს ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში ვახორციელებთ. სოციალური ფონი ქვეყანაში არის მძიმე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არ მუშაობს თქვენი პარტია და იმიტომ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენი პარტია მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში. თითოეულ ადამიანს, რომელსაც ესაჭიროება დახმარება, აუცილებლად დავეხმარებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ ჩვენ ამ საკითხებზე არ ვისაუბრებთ,

კონკრეტულად ადამიანებზე, რომლებმაც მე ხმა მომცეს, თუ ჩვენ მათ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ, მაშინ მე აქ ჩემს თავს ვერ ვხედავ. მე უხელფასო მაჟორიტარი გახლავართ. როცა ჩემი შრომა შედეგს გამოიღებს, მე მორალურად წელგამართული ვიქნები. თუ ამას მე ვერ ვაკეთებ, მაშინ ჩემი აქ ყოფნა გაუმართლებელია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მაჟორიტარი დეპუტატი ხართ, ფრაქცია გაქვთ, ხელს რა გიშლით, ახალი ფრაქციის შექმნა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „არის პრობლემები, რომლებზეც უნდა ვისაუბროთ და გადავწყვიტოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონო ანა, თქვენ ბრძანდებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კიდევ ერთხელ გპასუხობთ, რომ მზად ვართ, გაგცეთ პასუხი და დავეხმაროთ ამ ოჯახს. ბატონ ირაკლი ქარქაშაძეს ვთხოვ, კონკრეტულ შემთხვევაზე გამოხატოს თავისი პოზიცია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „მოგესალმებით. ქალბატონო ანა, მგონია, რომ მსგავსი საკითხების განხილვის ადგილი საკრებულოს სხდომა არ არის. ამ საკითხზე საუბარი შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, ჩემს სამუშაო კაბინეტში N216-ში, შეგვიძლია ნებისმიერ დროს ვისაუბროთ სოციალურად დაუცველებსა და მრავალშვილიან დედებზე. თქვენი არაერთი კოლეგა ყოფილა ჩემს კაბინეტში კონკრეტული ქეისით. რაც შეეხება მრავალშვილიან დედებს, მუშაობს ჩვენი პროგრამა და ჩვენ მათ ვუხდით კომუნალურებს, მობრძანდით, თუ გნებავთ შესვენების დროს მომაწოდეთ მონაცემები და გპირდებით, რომ რამდენიმე დღეში მოგვარდება ეს საკითხი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონო ანა, თქვენ გუშინ მობრძანდით ჩემს სამუშაო ოთახში, ამ ქეისის შესახებ ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს ქალბატონი დღეს მობრძანდებოდა, ერთად გადავწყვეტდით ამ საკითხს და მაქსიმალურად დავეხმარებოდით. კიდევ ერთხელ

ვიმეორებ, თითოეული ადამიანი, რომელიც საჭიროებს დახმარებას, მას მაქსიმალურად გაუწევს მუნიციპალიტეტი დახმარებას. თითოეული დეპუტატი გააკეთებს მაქსიმუმს, რომ ადამიანს გვერდით დაუდგეს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „ბატონო ირაკლი, საკრებულოს სხდომა მარტო ხელფასის მომატებაა? ოთხი დღე ყინვა და თოვლი, რომ იყო და არც თქვენ და არც ქალაქის მერი არ გასულხართ. ოთხი ბავშვი როგორ გადარჩა გაარკვიეთ, მიხვედით რომელიმე? გარეთ, რომ არ გამოსულხართ თქვენ და ქალაქის მერი, რა არის აბა საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხი, აბა რა უნდა განვიხილოთ ბატონ სოსო, როგორ მოვიმატოთ ხელფასი? თქვენ იყავით თბილად, საკმაოდ მაღალი ხელფასი აიღეთ და მათ საკვები არ ჰქონდათ. სიცივეში იყვნენ ბავშვები, გათბობა არ ჰქონდათ. ერთი თვე იძახის ქალბატონი ანა და რომელიმე იყავით? ვიცე მერი ხომ ხარ, იყავი მისული?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „პირველ რიგში, დიდი მადლობა, ძალიან კარგად გამოავლინეთ თქვენი დამოკიდებულება საქმისადმი, რომ შენობითზე გადახვედით. ეს არის ელემენტარული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „ბოდიში მოგიხადეთ მაგ შენობით მომართვის გამო. ამდენი ხანი ვისაუბრე და მხოლოდ ის თქვით, შენობით, რატომ მოგვმართეთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „ბიუჯეტში არის პროგრამა, რომელიც გულისხმობს სწორედ ასეთი ადამიანებისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, კომუნალური გადასახადებისათვის თანხის გამოყოფას. თუ ეს პრობლემა არის კონკრეტული ქეისი, კონკრეტულ ქეისები საკრებულოს სხდომაზე არ განიხილება. დიდი ბოდიში, მაგრამ გთხოვთ გავყვეთ დღის წესრიგს. მითხარით ანგარიშის ნომერი, ახლავე გადავრიცხავ თანხას, თუ ეს იმ ქალბატონს უშველის. 17

საკითხი გვაქვს დღის წესრიგით განსახილველი და კონკრეტული ქეისებით როგორ დავტვირთოთ სხდომა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „ერთი თვე ვიძახდით. ახლა ტელევიზიებთან ეს საუბარი, რასაც თქვენ აკეთებთ ქალბატონო თეა, პოპულიზმია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „დღის წესრიგში გვაქვს 17 საკითხი. პოპულიზმი იქნებოდა ანგარიშის ნომრები რომ დამედო, ყოველ საღამოს ვის რამდენს ვურიცხავ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „გადავურიცხეთ, მაგრამ არ დაგვიდია ანგარიშის ნომრები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „თუ პროგრამა არსებობს და არ მისულა ბენეფიციარი, პროგრამა მასთან ვერ მივა. ამ პროგრამის შესახებ მას უნდა აცნობოს უფლებამოსილმა პირმა, მაჟორიტარი იქნება თუ სხვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე დავურეკე სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „ქალბატონო ანა, მერის მოადგილე, ბატონი ირაკლი ქარქაშაძე იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, რომ ჩართოს ეს ბენეფიციარი პროგრამაში. ჩემი თხოვნაა, გავაგრძელოთ მუშაობა დღის წესრიგით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დავასრულოთ ეს პოლემიკა, რომელზეც გუშინ ვიმსჯელეთ ქალბატონო ანა. რაც შეეხება მაჟორიტარებს, თქვენ ხართ საკრებულოს წევრი, ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს წევრი, თქვენ გაქვთ ამომრჩევლის ნდობის მანდატი და

თქვენი საქმიანობა ნებისმიერ შემთხვევაში განისაზღვრება საკრებულოს წევრის კომპეტენციით. მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, გეუბნებით თითოეულ წევრს, რომ მისი უფლება, მისი მოთხოვნა იყოს დაკმაყოფილებული, ამას ექნება შესაბამისი რეაგირება თავმჯდომარის მხრიდან, შესაბამისი რეაგირება დარგობრივი კომისიების მხრიდან. ახლა დავუბრუნდეთ დღის წესრიგს, მოვრჩეთ ამ საკითხზე პოლემიკას. შესაბამისად, რეგლამენტირებული გვქონდეს ის დროები, რომლითაც გამოვალთ. საკრებულო არის ის ადგილი, სადაც შეგვიძლია ვისაუბროთ კონკრეტულ ადამიანებზე და მის საჭიროებებზე, მზად ვართ ამისთვის, გამოვთქვამ მზაობას, გუშინ ამ კონკრეტულ ქეისთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი, რაც მაქსიმალურია გასაკეთებელი, ის გავაკეთოთ.“

დღის წესრიგის პირველ საკითხზე დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. მან, კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ თ.ჯუღელის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ**“ შემდეგი რედაქციით:

„პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

26 იანვარი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია

„ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის თაობაზე, საკრებულოს წევრების: კობა გურულის, ბესიკ ბრეგაძისა და ანა კოხრეიძის განცხადების

განხილვის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30–ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლის მე-13 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. უარი ეთქვათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს: კობა გურულს, რომელიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეულია პარტია „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ წარდგენით, ბესიკ ბრეგაძესა და ანა კოხრეიძეს, რომლებიც საკრებულოს წევრებად არჩეული არიან პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგენით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის თაობაზე, საკრებულოს წევრების: კობა გურულის, ბესიკ ბრეგაძისა და ანა კოხრეიძის განცხადების განხილვის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 3 დეკემბერს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრთაგან შეიქმნა და იმ დროიდან ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.“

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, თ.მესხი, კ.გაბუნია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 12 წევრი, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ბატონები: გ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვჩკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ**“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ“ **განკარგულება N38** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 91-ე მუხლი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე და 78-ე მუხლები. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის**

საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:"; დადგენილების პროექტის პირველი მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში. კერძოდ: 1. შეიცვალოს დადგენილების N1 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. 2. შეიცვალოს დადგენილების N2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით"; დადგენილების პროექტის მესამე მუხლში ჩაემატა 2022 წელი. გამომდინარე აქედან, მე-3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 26 იანვრიდან; დადგენილების პროექტის N1 და N2 დანართებში არსებული ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა შინ მოვლის საპილოტე ქვეპროგრამიდან ამოღებულ იქნა სიტყვა: „საპილოტე"; დადგენილების პროექტის N1 და N2 დანართებში არსებული „მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ქვეპროგრამიდან" ამოღებულ იქნა სიტყვა: „მიერ"; დადგენილების პროექტის N1 დანართის შესაბამისად, გასწორდა დადგენილების პროექტის N2 დანართში არსებული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტების ქვეპროგრამები, კერძოდ, სიტყვა: „ქვეპროგრამა", შეიცვალა სიტყვით: „პროგრამა"), ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ბატონმა **ი.უგულავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „ჩვენ დ ჩვენი ფრაქცია, ყოველ წელს ინფრასტრუქტურული და რეგიონალური განვითარების ფონდიდან შემოსულ თანხებს მხარს ვუჭერთ და ვაპირებთ ახლაც დავუჭიროთ მხარი. მინდა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით გაგაცნოთ ჩვენი მოსაზრება. ბატონმა იუზამ ისაუბრა ზოგადად ბიუჯეტზე. პირველი მთავარი პრობლემა არის ელექტრო ენერგიისა და გაზის გაზრდილი ტარიფები. მაინტერესებს და სამწუხაროდ, ვერ მივიღე პასუხი რას აპირებთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მე მინდა გთხოვოთ, ხომ არ დავიწყოთ ფიქრი ქულების აწევაზე იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ვეხმარებით. ისიც ვიცი, რომ სუბსიდირება შეიძლება გაგრძელდეს ქულების გარკვეული ოდენობის მქონე ადამიანებზე, მაგრამ აქ საუბარია 200-300 ლარიანი შემოსავლის მქონე ადამიანები ვერ მოხვდებიან ამ ქულების მქონეთა შორის და ეს გაზრდილი გადასახადი მათ მძიმედ

დააწვებათ. ხომ არ ფიქრობთ ერთჯერად ღონისძიებაზე? ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი გამოსავალი არის ქულის გაზრდა, მესმის, რომ ეს ფინანსებთანაცაა დაკავშირებული. კოვიდის გამო, სამწუხაროდ, კომისიას ვერ ვესწრებოდი, მაგრამ ვიცი, რომ მაჟორიტარს ჰქონდა ინიციატივა პენსიონრებისათვის ვაუჩერის შექმნასთან დაკავშირებით, რაც მისასალმებლია, ასევე ვიცი, რომ თქვენც გაქვთ ინიციატივები ამ მიმართულებით. ხომ არ ვიფიქროთ, რომ ეს მძიმე პერიოდი განსაკუთრებით ზამთრის, შევუმსუბუქოთ ბევრ ქუთაისელს, რომლებსაც ეს გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვებათ. დამერწმუნეთ, 200000 ქულის მქონე ადამიანებიც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან.

მეორე საკითხია სპორტი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქუთაისს მივულოცო გუშინდელი წარმატება კალათბურთში. მინდა გითხრათ ერთ მთავარ პრობლემაზე, რომელიც თქვენთვისაც ცნობილია და მინდა გავაჟღერო, რომ დღესდღეობით, 500 ბავშვი ვერ ვარჯიშობს იმის გამო, რომ სპორტსკოლა არის ამ მგომარეობაში. ჩვენ ვნახეთ რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლებიც არიან სპორტსკოლის აღზრდილები. ჩვენ, ქუთაისში ნამდვილად გვაქვს იმის პერსპექტივა, რომ ჩვენივე აღზრდილებით შევავსოთ გუნდი და ბიუჯეტშიც ნაკლები ხარჯი იქნება. მე ვიცი, რომ სკოლის დარბაზები ვერ პასუხობენ საჭირო მოთხოვნებს, მაგრამ ბავშვები, მათი მშობლები და მწვრთნელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს პროცესი არ ჩავარდეს. ძალიან ბევრი მითი არსებობს ამ სპორტსკოლასთან დაკავშირებით. თითქოსდა იქ ბიზნესმენს უნდა, აშენდეს ბინა. დაგვიანდა ექსპერტიზის პასუხი. ასევე, ჩამოსული იყო ფედერაციის უფროსი და თქვენ გქონდათ მასთან საუბარი. თუ შეიძლება გვითხარით, რა იგეგმება სპორტსკოლასთან დაკავშირებით, თუ არის საშუალება, რომ გაფარდოვდეს, ვინაიდან, ერთი დარბაზი ნამდვილად არ არის საკმარისი. ეს არის ძალიან კარგი სპორტის სახეობა და ამ 500 ბავშვიდან სულ შეიძლება აღიზარდოს 15-20 სპორტსმენი, იმისათვის, რომ შევავსოთ სხვადასხვა კლუბები. იქნებ, მანამ, გამოვძებნოთ საშუალება, რომ ამ ბავშვებმა სადმე ივარჯიშონ. რაც შეეხება სტადიონებს. ძალიან ბევრ სტადიონზე გამოსაცვლელია მხოლოდ ფარები და კარებები. რას უპირებთ ნიკეას სოციალურ საცხოვრისს. წინა მერიდან გადმოსული პრობლემაა. რა გამოსავალი არსებობს. ვიცი, რომ თქვენი დამსახურებაა ეს დასკვნა, რომ გაჩნდა იმ შენობასთან

დაკავშირებით. იქ დღემდე ცხოვრობენ ადამიანები, მდგომარეობა მართლაც ავარიულია და რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით.

ბოლო თემაა თეთრ ხიდთან დაკავშირებით. თქვენც ხვდებით, რომ ეს არის პრობლემა. ერთხელ და სამუდამოდ მივიღოთ გადაწყვეტილება, იქნებ, გამოვცვალოთ მთლიანად ზედაპირი. არც ლაქმა არ უშველა იმ ზედაპირს და მინაც რომ არ გაამართლებდა აშკარაა. სადაც კეთდება მინა, იმ ადგილს სჭირდება შემოსაზღვრა. მსგავს ადგილებზე, სადაც ვყოფილვარ ტურისტულ ობიექტებზე, მკაცრი შეზღუდვებია თუ როგორ უნდა გავიაროთ მინიან ზედაპირზე. მართლაც არავის სიამოვნებს ამდენი გაუთავებელი ქილიკი თეთრ ხიდთან დაკავშირებით და ეს პრობლემა არ აღმოიფხვრება, სანამ არ მოევლება ზედაპირს. ეს არის საკითხები, რომლებზეც მეც და საზოგადოებასაც გვაინტერესებს პასუხები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მივესალმები ასეთ კონსტრუქციულ საუბარს. პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ დაბადების დღე. გეთანხმებით, რომ ძალიან ბევრი მოარული საუბრები იყო სპორტსკოლასთან დაკავშირებით. მე პირადად ვეწინააღმდეგები, ამ დასკვნის საფუძველზე, იქ სპორტული აქტივობების ჩატარებას. ის საშიშია სიცოცხლისთვის. თუ ხართ იქ ნამყოფი, გეცოდინებათ აივანი რა მდგომარეობაშია, საძირკველში ჩაედინება წყალი. ბატონი ზაზას ჩართულობითა და აქტიურობით, ახალი პრეზიდენტი იყო ჩამოსული და ჩვენ გვაქვს შეთავაზება შევიძინოთ ახალი პროექტი. ეს არის ამერიკული ტიპის დარბაზი, რომელიც იყოფა რამდენიმე სავარჯიშო ნაწილად. როგორც ვიცით, შეიძლება იმ დარბაზის ლოკაციაც შეიცვალოს და დაიდგეს ვერტიკალურად. ფედერაცია აქტიურადაა ჩართული ამ საკითხის გადაწყვეტაში. გვინდა ეს დარბაზი გაკეთდეს. სპორტული დარბაზის, რომელიც გვაქვს, ნახევარი მეტრი აკლია ჭერის სიმაღლე, რომ იყოს საერთაშორისო სტანდარტების. პროექტზე ვმუშაობთ და შენობას მოუწევს დანგრევა, მის გარემონტებას აზრი არა აქვს, ვინაიდან, უფრო მეტი დაგვეხარჯება და სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. უნდა აშენდეს ახალი და თანამედროვე შენობა. ტერიტორიის გასხვისებას რაც შეეხება, სანამ ჩემი ხელმოწერა რამეს ნიშნავს, მანამ, ჩემი ხელმოწერა იმ ტერიტორიის გასხვისებაზე არ იქნება. რაც შეეხება ბავშვების ვარჯიშს.

ჩვენ მათ და მწვრთნელებს მივეცით საშუალება, შეარჩიონ დარბაზები და სპორტის ააიპი გადაიხდის დარბაზის გადასახადს. იმ გუნდებს, რომლებიც მიემგზავრებიან სხვადასხვა ტურნირებზე, მომზადების პერიოდში სპორტის სასახლეში ვარჯიშში ხელის შეშლა არ ექნებათ. ჩვენ, ასევე, აქტიურად ვიმუშავეთ ფეხბურთის ფედერაციასთან და მადლობა კობიაშვილს, რომ ჩვენი შექმნილი და მოვლილი სტადიონი დაფასებულია და ქუთაისი 2023 წელს უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს 21 წლამდე ფეხბურთელთა შორის. მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში იქნება ახალი სტადიონი, უფრო სწორად, რეაბილიტირებული ახალი სტადიონი, რომელსაც ჩაუტარდება რეაბილიტაცია და ჩვენ გვაქვს პროექტი, რომელიც შეთანხმებულია ფეხბურთის ფედერაციასთან და ფედერაცია თავად დააფინანსებს ამ სტადიონის რეაბილიტაციას. ასევე, მინდა გითხრათ, რომ ახალგაზრდა „ტორპედოელებმა“, რომლებიც დღეს, გამთენიისას ჩამოვიდნენ, მესამე ადგილი დაიკავეს ლატვიაში თავიანთ ტოლებში. საგრანტო პროექტის ფარგლებში, ჩვენ შევიძენთ და ავაშენებთ ბალახის ჰოკეის სტადიონს. ჩვენი გუნდი ნამდვილად იმსახურებს, რომ ქუთაისში ჰქონდეს თავისი სტადიონი, რომელიც აშენდება ნიკეას ადმინისტრაციულ ერთეულში. ტენდერი უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს პროექტირება. რაც შეეხება თეთრ ხიდს, თეთრი ხიდის იმდროინდელი რეაბილიტაცია იყო ძალიან თამამი და წინ გადადგმული ნაბიჯი. რა თქმა უნდა, ის ქილიკი, რომელიც არსებობს ამ თემის გარშემო, უნდა დასრულდეს. არ ვიცი ამის საშუალებას რამდენად მოგვცემს კანონმდებლობა, ვინაიდან რამდენიმე წელია გასული რაც მოვახდინეთ ამ ხიდის რეაბილიტაცია, თუმცა გეთანხმებით, რომ ერთად რაღაც უნდა მოვიფიქროთ, იმიტომ, რომ ამ ხიდის მომავლის პასუხისმგებლობა ყველას გადასაწყვეტი და მისაღებია და არა ერთი და ორი ადამიანის. ეტაპებია გასავლელი და გადაწყვეტილება მისაღები. რაც შეხება სუბსიდირებას, ამას სახელმწიფო აკეთებს და ამაში არავის არანაირი დანახარჯი არ ექნება.

გეთანხმებით, რომ თბილისმა ძალიან კარგი პროგრამა გააკეთა და შეძლო ბიუჯეტიდან 500 ლარიანი ვაუჩერის დაფინანსება. მე ვფიქრობ, რომ თუ ჩვენი ბიუჯეტის მზარდი ტენდენცია იქნება შენარჩუნებული, მსგავსი ერთჯერადი სუბსიდიის სახით

შევეცდები შევეხიდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც პირველი რიგის საჭიროების მქონე ადამიანებს.

რაც შეეხება ბიუჯეტს, თქვენ ხედავთ, რომ იგი დღეის მდგომარეობით, არის 120 მილიონი და ჩვენ ვაპირებთ 130 მილიონის ზღვარზე ასვლას და ეს არის გარკვეულწილად, ჩვენი თანამშრომლების დამსახურება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა საფინანსო სამსახურს. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი ბიუჯეტია. მივალთ იქამდე, რომ ბიუჯეტი იქნება მზარდი და პრობლემებზე ორიენტირებული. აუცილებლად მინდა გავუსვა ხაზი სამოქალაქო ინიციატივებს, რომლებიც ჩვენ უკვე მილიონამდე გავზარდეთ და ძალიან კარგი საშუალებაა ჩვენი თანაქალაქელების ჩართულობის კუთხით.

მე ვითხოვე და მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ამ ადამიანს, რომელზეც ქალბატონ ა.კოხრეიძეს ჰქონდა საუბარი, ჩვენგან მიღებული აქვს გასული წლის ხუთი თვის ქირა 200-200 ლარის ოდენობით. მიღებული აქვს მრავალშვილიანი ოჯახის დახმარების თანხა 1400 ლარის ფარგლებში. 183 ლარის მედიკამენტები. არავინ არავის არაფერს ართმევს. ყველაფერს გააჩნია თავისი ლიმიტი. ნეტა იყოს საშუალება, ბერს მივცეთ და თანაც ბევრი. ყველასთან შეიძლება ვერ მივიდეთ, მაგრამ არსებობს სოციალური ფონდი, მერის ფონდი, კიდევ იქნება სხვა დახმარებები, მაგალითად, ბოლო ორი წელია მრავალშვილიანი დედები ყოველთვის იღებენ სააღდგომო - საშობაო ნობათებს. ყველა სოციალურად დაუცველი ადამიანი 65000-დან 70000 ქულამდე იღებს წელიწადში ორჯერ დახმარებას. მეც ვიცი, რომ ცოტაა, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ. სწორედ, ამ წუთში, ეს ქალბატონი ზის მისაღებში და წერს განცხადებას დახმარებაზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „სპორტსკოლასთან დაკავშირებით მაინტერესებს ვადები, როდის აპირებთ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ველოდით ბატონ ვიქტორს ფინალზე, მაგრამ სამწუხაროდ, დაუდასტურდა კოვიდი. ამ შეხვედრაზე უნდა გაგვესაზღვრა რა და როდის იქნებოდა. ბატონი ზაზა არის აქტიურად კონტაქტზე.

მთავარია, თავიდან შევიძინოთ პროექტი და შემდეგ უნდა მოხდეს ყველას ჩართულობა. ჩვენც, მუნიციპალიტეტი გავიღებთ თანხას და ფედერაციაც შემოვა თავისი წილობრივი მონაწილეობით და ასევე, შემოვა სამინისტროც. ერთწლიანი თემა ვერ იქნება ეს, თქვენთვისაც კარგადაა ცნობილი. ჯერ უნდა დაინგრეს ძველი და მერე აშენდეს ახალი, რომელიც იქნება ბევრად უკეთესი, ვიდრე ჩვენი დღევანდელი სპორტის სასახლე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „ძალიან ბევრ მშობელს ვხვდები და ინფორმაცია მაქვს, რომ ამ ბავშვების თითქმის 95% ვერ ვარჯიშობს. შეიძლება მერიისგან არის მზაობა, მაგრამ რეალურად დარბაზების არქონის გამო, ეს პრობლემა არსებობს. ზოგი დარბაზი სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ვერ პოულობენ დარბაზებს. მე არ მინახავს დასკვნა სპორტსკოლის შენობასთან დაკავშირებით, მაგრამ ხომ არ განვიხილოთ დროებით ამ შენობაში ვარჯიშების გაგრძელება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ეს არ არის ჩემი პირადი გადაწყვეტილება. ეს არის იმ დასკვნიდან გამომდინარე, რომელიც შემოგვივიდა ვიზუალური დათვალიერების შემდეგ. თავის დროზე, როდესაც იმ დარბაზში ვარჯიშობდნენ ბავშვები, მაშინაც იყო საუბარი, რომ არ არის გათბობა, ჩამსხვრეულია შუშები და ასე შემდეგ. არ არის ის დარბაზი იმ მდგომარეობაში, რომ იქ ჩატარდეს თამაშები. ჩვენ, რომ დავიწყოთ რეაბილიტაცია, ვერ დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილ სტანდარტებს, თანხა დაიხარჯება და შეიძლება, ერთ ადგილზე რამდენჯერმე მოხვედრილმა ბურთმა გამოიწვიოს სავალალო შედეგი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „თქვენ წარმოგიდგენიათ გარკვეული ასაკის ჯგუფები რამდენიმე წელი რომ ვერ ივარჯიშებენ? ჩათვალეთ რომ თაობა იკარგება. ეს ეხება 2006-2009 წლიანებს, რომლებიც ჯერ ნაკრებებში არ თამაშობენ. ეს თაობები დაგვრჩება ვარჯიშის გარეშე. ეს რეალური პრობლემაა და რაღაც უნდა მოვიფიქროთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „ბატონო გიგა, ეტყობა ფლობთ ძველ ინფორმაციას, რომ არ ვარჯიშობს 500 ბავშვი. ჩვენც ვხვდებით მშობლებს და გვაქვს ეს ინფორმაცია, მაგრამ ბავშვები უკვე გადანაწილებულები არიან სხვადასხვა სკოლებში. ჩვენ შევთავაზეთ მათ მწვრთნელებთან ერთად შეერჩიათ მათთვის მისაღები დარბაზები, იჯარის თანხას ჩვენ გადავიხდით და პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია. 500 აღარ არსებობს. იმ 500 ბავშვიდან შეიძლება აღარ ვარჯიშობდეს 100-150 ბავშვი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „მაქვს შეხება და ვიცი, მე არ მომიგონია. დავანებოთ თავი მშობლებს. შეხვდით მწვრთნელებს, ისინი ხომ დადიან ააიპ-ში. ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „ააიპ-ში შემავალი ყველა საკალათბურთო სკოლა ვარჯიშობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „მაგალითად, 2008 წლიანებიც ვარჯიშობენ, მაგრამ მშობლები კრებენ თანხას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „კიდევ ვიმეორებ, ააიპ-ში შემავალი ყველა ჯგუფი ვარჯიშობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „ეს ისეთი ფაქიზი თემაა, რომ ამ ერთ-ორ წელში, ჩვენ, შეიძლება ბევრი საკანდელიძე დავკარგოთ და შემდეგ გვიან იქნება. 500 იქნება თუ 200 რა მნიშვნელობა აქვს. შეიძლება სულაც 100 იყოს, მაგრამ მათ შორის შეიძლება ნიჭიერი დაიკარგოს. მართლაც, თუ შეიძლება და ფატალურ შედეგს არ მივიღებთ, იმ დარბაზში ივარჯიშონ, იქ შეიძლება გათბობის რეაბილიტაციაც. მთავარია, ეს თაობა არ დაგვეკარგოს. თუ საშუალებაა კიდევ გამოვყოთ კომისია და შევხედოთ რა მდგომარეობაა. დარბაზის მოძებნა არ არის მარტივი, ჩვენ უნდა ჩავუდგეთ სათავეში და ჩვენ უნდა ვითაოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „სკოლებში არსებული დარბაზები სიმაღლეში ვერ აკმაყოფილებენ სტანდარტებს. რაც შეეხება ამ დარბაზს, ვერც ის ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. ეს დარბაზი რომ გადაგვეკეთებინა, ერთი კედელი უნდა აგვეყვანა 2 მეტრით სიმაღლეში და ასეთი სიმძიმის ცენტრის გადატანა რას გამოიწვევს ხომ იცით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს და კონკრეტულ ჯგუფებს არა აქვთ საშუალება ახლა განახორციელონ ვარჯიში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ეს ინფორმაცია და ვიმუშავებთ. ქალაქის ვიცე მერი, რომელიც კურირებს ამ პროცესებს, მზად არის და რა თქმა უნდა, დავეხმარებით ახალგაზრდებს. ეს საკითხი არის მასშტაბური. მზად ვართ, შეიქმნეს ახალი დარბაზი და ამისთვის მატერიალური რესურსიც გამოიყოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კარგი აზრი იყო გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რასაც ინიციატივები და მათი განხორციელება ჰქვია, მაგრამ მე ჩვენ კოლეგებსა და საზოგადოებას უნდა გავახსენო წინა სხდომა. მე აღვნიშნე, რომ ის ბიუჯეტი ბოლომდე არ არის სრულყოფილი, მას კიდევ უფრო სჭირდება მომზადება, რაღაც საკითხების დამატებით გავლა. რაც შეეხება ფონდის მიერ დაფინანსებულ რეგიონალურ პროექტებს, რომლებიც ჩვენთან მოდის განკარგულებების მიხედვით, ეს საკითხები გასაგებია თავიდან ბოლომდე და ჩვენ მხარს ვუჭერთ, მაგრამ გამარტივებულ ფორმაში, რაც ბატონო იუზა, თქვენ ჩამოაყალიბეთ, აღმოვაჩინეთ ძალიან ბევრი მუხლები, რომლებიც, ან საერთოდ ამოიღეთ, ან შეამცირეთ, ან გაჩნდა ახალი შემოსავლითი მომენტები, რომლებიც საკრებულოს წინა სხდომაზე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მათ შორის, პირველ საკითხზე და მინდა დავსვა კითხვა. შემოსულობების ნაწილში გვიწერია, რომ შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან 220 ათასი და 125 ათასი ლარით გაიზარდა. კონკრეტულად თუ შეიძლება გვითხრათ რას ეხება საკითხი და რა შემოსავალზეა საუბარი, იმიტომ, რომ წინა სხდომაზე დავსვით ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვა. „0“

იყო ამ მუხლში და ახლა გამოჩნდა, რომ 220 ათასი გიწერიათ და გვერდით 125 ათასი, ემატება თუ არ ემატება? ამავე მუხლის გასწვრივ წერია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შიდა მუხლობრივი ცვლილებები აქვს ოფისის ხარჯსა და სხვა ხარჯს შორის. 65 ათასი მოვაკელით ოფისის ხარჯს და 65 ათასი დავამატეთ სხვა ხარჯს. თუ შეგიძლიათ განგვიმარტეთ რაზეა საუბარი, ამის შემდეგ წერია 60 ათასი ფრჩხილებში და პლუს კიდევ 160 ათასი არაფინანსურის ზრდა. თუ შესაძლებელია საზოგადოებასაც და ჩვენც გაგვაგებინეთ ახლა რომ გახდა ეს ცვლილება საჭირო და წინა ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში ვერ ვღებულობდით გადაწყვეტილებას, რითია განპირობებული. გავაგრძელებ კითხვებს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებთან დაკავშირებით. 300 ათასი ლარი გვაქვს წლევანდელ ბიუჯეტში ამ ცვლილებაში დამატებული. მაქვს კითხვა ამ კონკრეტულ მუხლთან დაკავშირებით. წინა წელს იყო 400 ათასი, წელს თუ არ ვცდები, ჩავდეთ 400 ათასი. ამ პროექტებიდან ყველა პროექტი გვაქვს თუ არა ათვისებული და რატომ დაგვჭირდა 300 ათასის ამ მუხლში დამატება? ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობის სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებებში 232 ათასი ლარი გვაქვს განსაზღვრული დადგენილებით და 722 ათას ლარს ვამატებთ. კონკრეტულად რა ღონისძიებებს ემატება? ზამთრის პერიოდში, როდესაც ქალაქში ყინვები იყო და ყოველ წელს, ის ხე-მცენარეები, რომლებიც ზაფხულის სეზონის ხე-მცენარეებს წარმოადგენდა, იფუთებოდა, აღმაშენებელზე არც ერთი პალმა არ შეფუთულა და ალბათ, გახსოვთ, რომ აღმაშენებელზეც და მერიასთანაც ეს პალმები ყოველთვის იფუთებოდა, იმიტომ, რომ ისინი ყინვებს ვერ უძლებენ. თუ ის ხეები ვერ გაიხარებენ, ამის გამო კონკრეტული ზარალი ვინ უნდა აანაზღაუროს და ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი? რაც შეეხება მრავალსართულიანი ბინების სადარბაზოების რეაბილიტაციას, გვიწერია, რომ 1400 ათასი განკარგულებიდან დაემატა, 672 ათასი მოხდა სხვაობა, სადაც მინუს 734 ათასი ამოვიღეთ. რას გამოაკლდა და რა იყო ამის მიზეზი, რომ 734 ათასი კონკრეტულად ამ მუხლს გამოაკელით. კიდევ გვაქვს რამდენიმე პროგრამა. საინტერესო მინაწერი იყო და აღვნიშნავ, რომ 30-ე მუხლში შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერაში გვქონდა თანხა. გვიწერია მინუსით და ფრჩხილებში „გაუქმდა“. წინა სხდომაზე მივიღეთ ახალი ბიუჯეტი და პროგრამები და ახლა წერია, რომ

„გაუქმდა“. ამის შემდეგი ღონისძიებაა, ონლაინი სწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობა, სადაც გვიწერია - 800 ათასი, ანუ კიდევ გამოვაკელით თანხა. კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამებმა განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია, მათ შორის, შშმ პირებთან დაკავშირებით იყო დასვენების პროგრამა, რომელსაც ზაფხულობით ვახორციელებდით და იქ დავაწესეთ შეზღუდვები. 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისთვის გახდა ეს პროგრამა ხელმისაწვდომი და დანარჩენი ამოღებულ იქნა. თუ შეიძლება განგვიმარტეთ იმ პროგრამის მთავარი ნაწილი. ბოლო კითხვა, ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობაზე გვაქვს 100 ათასი ლარი, ანუ გამოვაკელით. საკრებულოს წინა სხდომაზე ამ მუხლზე კონკრეტული არგუმენტები და მტკიცებულებები არსებობდა, რომ მნიშვნელოვანი, აუცილებელი და ფაქტობრივად, ქალაქისთვის გადასარჩენი იყო ეს თანხა და დღეს 100 ათასი ლარი გამოვაკელით. საკრებულოს წინა სხდომაზე, როდესაც 2022 წლის ბიუჯეტი დავამტკიცეთ, შესაძლებელი იყო თუ არა ამ გათვლებისა და შესაბამისი გაანგარიშებების გაკეთება და ასახვა ბიუჯეტში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „მინდა გითხრათ, რომ ბიუჯეტი არის ცოცხალი ორგანიზმი. როგორც ქალაქის მერმა, რამდენი ცვლილება განახორციელეთ მაშინდელ ბიუჯეტში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ზუსტად ვიცი, 7 სისხლის სამართლის საქმე რომ იყო აღძრული და ცვლილებების რაოდენობა არ მახსოვს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა**: „ბიუჯეტის ცვლილება განახორციელეთ 29-ჯერ. შარშან, ჩვენ ბიუჯეტში 9 ცვლილება განვახორციელეთ. ბიუჯეტი ცოცხალი ორგანიზმია და მასში ცვლილებები ყოველთვის იქმნება. რაც შეეხება პარკინგს. წინა სხდომაზე თქვენი მოსაზრება ალბათ, პარკინგის გაუქმება იყო. თქვენს დროს, პარკინგის შემოსავალი მერიას შემოდიოდა 35 ათასი ლარი, დღეს ჯარიმა შემოდის 400 ათასი ლარი. პარკინგში მუშაობს 78 ადამიანი, დაახლოებით, მილიონ ლარს გასცემს ხელფასის სახით, იხდის საშემოსავლოს და ყველა

გადასახადს, მათ შორის, ქონების გადასახადს, რომელიც 100%-ით უბრუნდება თვითმმართველობას და ის დღეს რენტაბელურია. რა თანხა გაჩნდა აქ? თუ გახსოვთ მას გადაცემული ჰქონდა ქონებები იჯარის ფორმით და მას დაუგროვდა ვალი ამ გადაწყვეტილებით 1800 ათასი ლარი. თვითმმართველობა ამ ვალს ვერ ჩამოწერდა და საკრებულოს წინა სხდომაზე, რომელზეც თქვენც ბრძანდებოდით, მივიღეთ გადაწყვეტილება მას ქონება გადასცემოდა უზუფრუქტის ფორმით და გაკეთებულიყო ვალის გადახდის შეღავათიანი გრაფიკი. შარშან მას უნდა შემოეტანა 50 ათასი ლარი და წელს - 100 ათასი. შარშან, ფიზიკურად შეძლო შემოეტანა 25 ათასი ლარი და დააკლდა 25 ათასი. წელს უნდა შემოიტანოს 100 ათასი, გადმოვიდა ის ვალდებულება და გახდა 125 ათასი. დეკემბრის თვეში მივიღეთ გრანტი. მოვიძიეთ თანხა, რომელიც ჩავდეთ არაფინანსურში იმ გრანტთან ერთად. გრანტი არის 79 ათასი დოლარი, 3 ათასი დასჭირდება აუდიტს და ჩვენ დაგვრჩება 76 ათასი. თქვენ 220-სა და 125-ს რომ ადარებთ. 220 არის აქეთ ხარჯების ჯამი და 125 არის შემოსავლების. ორ სხვადასხვა ციფრს ადარებთ. 3600 ათასი ლარი, რომელიც გადმოვიდა ბიუჯეტიდან და ეს არის ადგილობრივი თანხა, რისგან შედგება ეს თანხა. შემოსავლით ნაწილში წერია, რომელიც დატვირთულია რაღაც თანხით, რომელიც გადმოყვა. თქვენ დასვით კითხვა რატომ არის 300 ათასი საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში. ეს თანხა დატვირთულია ხელშეკრულებებით. არის მაგალითად, ახალგაზრდული პარკის მოწესრიგება, კიკვიძის სკვერის რეაბილიტაცია, რომელიც საგრანტოშია. თუ მარტში არ წარვადგინეთ პროექტები, კონკურსში ვერ მივიღებთ მონაწილეობას. გამოვაცხადეთ ნოემბერში და უკვე არის გამარჯვებული გამოვლენილი, რომელიც აკეთებს პროექტს. მწვანეყვავილას გზაზე ხელშეკრულება გავაფორმეთ დეკემბრის თვეში, შეიძლება თქვათ, რატომ გააფორმეთ დეკემბრის თვეში თუ ვერ შეძლებ განხორციელებას. მწვანეყვავილას გზა ჩასმული იყო რგფ-ში. გეცოდინებათ, რომ მოხდა სტიქია და მოსახლეობა ძლივს გადავარჩინეთ. შევწყვიტეთ ეს ხელშეკრულება, გამოვაცხადეთ ახალი პროექტი. დეკემბერში დავამთავრეთ ეს ხელშეკრულება და ნაშთთან ერთად გადმოვიდა იანვრის ბიუჯეტში. ამიტომ ჰქვია ამ ბიუჯეტს დასაზუსტებელი ბიუჯეტი. რაც შეხება სოციალურს. ეს დასათვლელი იყო და დავთვალეთ ვის ეკუთვნის ეს სწავლება, რა მოთხოვნაა და რამდენ

ადამიანს შეეხება. ზუსტად ის თანხები დავტოვეთ, რაც უზრუნველყოფს ამ პროექტის განხორციელებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების საკითხს რაც შეეხება, ეს პროგრამა რამდენიმე წელი ფუნქციონირებდა და ითვალისწინებდა მათთვის სატრანსპორტო ხარჯების დაფინანსებას. 2021 წელს, მას შემდეგ, რაც გაჩნდა მუნიციპალური ტრანსპორტი, მათთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა გახდა უფასო, შესაბამისად, ამ პროგრამამ აქტუალობა დაკარგა და გაუქმდა. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „წლის დასაწყისში, როდესაც ბიუჯეტი მივიღეთ, ეს არ ვიცოდით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „ვიცოდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ იცოდით, მაშინ რატომ ჩაწერეთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „იმიტომ, რომ მოხდა დაზუსტებები. რაც შეეხება ამ პროგრამას, ის შეიქმნა 2021 წელს და ეს იყო ის პერიოდი, როდესაც სრულად იყო ლოქდაუნი და ყველა სკოლა იყო დისტანციურ სწავლაზე. ის თანხა რაც იდო 2021 წლის ბიუჯეტში, გათვლილი იყო იმაზე თუ რამდენი სოციალურად დაუცველი სტუდენტი ბავშვი იყო ქალაქში. თუ სწორად მახსოვს, საუბარი იყო 800 ოჯახზე. ამ პროგრამით, სამწუხაროდ, ისარგებლა 10-მდე ოჯახმა. დღეის მდგომარეობით, სკოლები სწავლების ონლაინ რეჟიმზე აღარ არიან, მაგრამ თუ გაჩნდა კონკრეტული საჭიროება, ვიცით, რომ არის ბავშვთა განყოფილება შექმნილი, სადაც არის 6 სოციალური მუშაკი და მუნიციპალურ თუ სახელმწიფო დონეზე რაც საშუალება არსებობს, იყენებენ კონკრეტული საჭიროებების მიხედვით. რაც შეეხება მაგნიტურ ქვიშებზე დასვენებას, მოგახსენებთ, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტი აცხადებდა ტენდერს და გამარჯვებული სანატორიუმში თუ სასტუმროში უშვებდა

ბენეფიციარებს თავისი ტრანსპორტით. აღნიშნული ტექნიკურადაც და ადმინისტრირებითაც არ იყო გამართული, ჰქონდა ბევრი ხარვეზი და შენიშვნაც მივიღეთ. განვიხილეთ სხვა საერთაშორისო მსგავსი პრაქტიკები თუ როგორ შეიძლებოდა ამ მიმართულებით გვემუშავა და გავჩერდით თბილისის მოდელზე. ჩვენ ბენეფიციარს გადავცემთ ვაუჩერს და ის თავად ირჩევს სასტუმროს. რაც შეეხება ასაკობრივ ზღვარს. სამედიცინო პერსონალთან განხილვის შედეგად დავადგინეთ, რომ მაგნიტური ქვიშის ფუნქციაა ძვლის განვითარება და ყველაზე სწორია მისი გამოყენება ამ ასაკის ბავშვებში. 40-და 50 წლის ადამიანის გაშვება მაგნიტურ ქვიშებზე ძვლის განვითარებისთვის, არ არის მიზნობრივი ხარჯი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რომელზეც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაზე ვიმსჯელეთ და შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, ამ ინიციატივის ფარგლებშიც მოხდა ცვლილება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „აქ ბევრჯერ იყო საკრებულოს წინა სხდომის ხსენება. აქ ბატონი ბესოა, რომელიც 2012 წელს გახლდათ ქალაქის მერი და მაშინ, 36 მილიონი იყო ქუთაისის ბიუჯეტი და ისიც გემახსოვრებათ ბატონო ბესო, რომ თქვენი მაშინდელი ხელფასი და ჩემი შარშანდელი და შარშანწინდელი ხელფასიც ერთი და იგივე იყო. ანუ, იგივე იყო 9 წლის შემდეგაც. რაც შეეხება ქალაქის მერის ხელფასის გაორმაგებას, საიდან მომდინარეობს ეს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ქუთაისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასი იმდენად დაბალი იყო, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საჭირო გახდა გაორმაგება. სხვა მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულზე მცირეებია, გაცილებით მეტი ხელფასები ჰქონდათ. ეს არ არის ქუთაისის მერიისა და ჩემი გადაწყვეტილება. ეს არის სახელმწიფოს გადაწყვეტილება, რომელიც წავიდა იქეთკენ, რომ მოხდეს ამ ყველაფრის ერთ სისტემაში მოყვანა. ეს არ ხდება მხოლოდ ქუთაისში, ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. როდესაც რამეზე ვისაუბრებთ, ყოველთვის უნდა გავიხსენოთ რა იყო და რა არის ახლა. როდესაც 36 მილიონიან

ბიუჯეტსა და 120 მილიონიანშიც ხელფასი არის ერთი და იგივე მოცემულობით, მე მგონი, აქ კითხვის ნიშანი არ უნდა არსებობდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „ვიდრე ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ორმოული შეკეთებების ნაცვლად ქვა-ღორღს ყრიან. სირცხვილია, ოპერის წინ, ქვა-ღორღით ვავსებდეთ ორმოებს. შესაბამისი სამსახურები თუ დაინტერესდებიან ამით, კარგი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გთხოვთ, ინფრასტრუქტურის სამსახურს ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საკითხს.“

დღის წესრიგის მეორე საკითხზე დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ა.კოხრეიძე, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 25 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ბატონებმა: ბ.ბრეგაძემ, გ.კილაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, იუზა უგულავას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N 6 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29

დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ **დადგენილება N6** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 – მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალ - დარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის /გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის სათაურს დასაწყისში ჩაემატა სიტყვა: „ელექტრონული“. გამომდინარე აქედან, დანართის მე-2 მუხლის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი შედგენა“)** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **ე.გრიგორაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი**: „ჩვენ, გარე ვაჭრობის მიმართულებით დავიწყეთ გარკვეული ღონისძიებების გატარება, რომელიც გულისხმობს ამ მხრივ არსებული პრობლემების მოგვარებას, რაშიც ახლა წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი, თუ მას რა თქმა უნდა, საკრებულო მიიღებს, ძალიან დაგვეხმარება. ასევე ძალიან გვეხმარებიან პოლიციის თანამშრომლებიც. ამ დროისათვის უკვე მოხდა ჭავჭავაძის ბაზრობისა და ე.წ „მწვანე ბაზრის“ მიმდებარე ტერიტორიების

მნიშვნელოვანი გაწმენდა, რაშიც მთავარ ძალისხმევას „სპეცსერვისების“ თანამშრომლები წარმოადგენდნენ და მსგავსი ტიპის ღონისძიებები უახლოეს მომავალში ისევ გაგრძელდება, რადგანაც ქალაქის იერსახის შენარჩუნება და გაუმჯობესება გახლავთ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. აქვე მინდა ვთქვა, რომ ყველა ბაზრობის ხელმძღვანელთან გვქონდა შეხვედრა და ისინი თანახმა არიან, რამდენიმედღიანი საშეღავათო პერიოდი მისცენ იმ ადამიანებს, რომლებიც, ყოველდღიურად აქ ვაჭრობენ. ასევე გვქონდა შეხვედრა უშუალოდ ამ მოვაჭრეებთანაც და მათი მოთხოვნები არის გათვალისწინებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „რა თქმა უნდა, გარე ვაჭრობასთან მიმართებაში, ის ღონისძიებები, რასაც ახლა ატარებთ, კარგია და უნდა გაგრძელდეს, მაგრამ აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ გარემოებაზე, ეს მხოლოდ ამ მთავრობას არ ეხება, წლებია ასეა, კერძოდ, ყოველთვის ასე იწყება გარე ვაჭრობასთან ბრძოლა, მასშტაბური ღონისძიებებით, ფართო აფიშირებით და ა.შ, თუმცა, მოგვიანებით, ისევ იწყება თვალის დახუჭვა, ისევ უბრუნდებიან გარემოვაჭრეები იმ ადგილებს. აი, თქვენი წინამორბედებიც მასე იწყებდნენ და ცოტა ხნის შემდეგ, პრობლემა ისევ საწყის ნიშნულს უბრუნდებოდა. გარემოვაჭრეებში არის მსგავსი აზრი უკვე, რომ რაღაც პერიოდი უნდა გაძლონ, იბრძოლონ და შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში, სიტუაცია მათთვის ნორმალიზდება. ასე იყო ისტორიულად, მე არავისკენ არ ვიშვერ თითს იმიტომ, რომ სულ იდგა მსგავსი პრობლემა. კარგია ახლა, ისევ რომ ვიწყებთ აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლას, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუ ბოლომდე მივიყვანთ ამ საქმეს, რადგან „გუგლის“ საძიებო სისტემაში, სიტყვები: „ქუთაისი“ და „გარე ვაჭრობა“ ერთად რომ ჩაწეროთ, ჯერ კიდევ „უხსოვარი“ დროის წინ დაწერილ სტატიებს ამოგიგდებთ და თქვენით დარწმუნდებით, თუ რამდენჯერ იწყებოდა გარე ვაჭრობასთან ბრძოლა. ასევე გასათვალისწინებელია ის საკითხიც, რომ ბაზრობების ხელმძღვანელებთან შეხვედრა აუცილებელია სწორედ იმ კუთხით, რომ ხშირად ხდება ხოლმე სხვადასხვა სახის დეტალებზე შეთანხმებისას, აზრთა სხვადასხვაობის გამო დაპირისპირება გარე მოვაჭრეებსა და ბაზრობების ხელმძღვანელობას შორის და სწორედ

ამ მოლაპარაკების ეტაპზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა ითამაშოს ერთგვარი მედიატორის როლი და მის ხელთ არსებული შესაძლებლობები გამოიყენოს სწორედ ამ ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი**: „ჩვენ, ჯერ კიდევ შარშან გვქონდა ამ ყველაფრის დაწყების სურვილი, მაგრამ აი, იმ გარე მოვაჭრეებს, რომლებიც სასაფლაოდან აკრეფილ ყვავილებს მეორეჯერ ყიდიან, ზედ ქალაქის ცენტრში და ხალხს ატყუებენ, სწორედ თქვენ გამოექომაგეთ ბატონო გიგა, ლუკმა პურის გარეშე ტოვებთ ამ ხალხსო. ამ ამბებთან დაკავშირებით, ყვავილების ბაზრობის დირექტორის ინტერვიუც არსებობს, რომელიც ზუსტად, აი, ამ ადამიანებს თავისი ბაზრობის ტერიტორიაზე ჰპირდებოდა უფასოდ განთავსებას. ამიტომ, ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება, ნუ შევუშლით ხელს ერთმანეთს ამ საქმის ბოლომდე მიყვანაში, ვიყოთ ერთიანები და ყველაფერი გამოგვივა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ შეღავათებზე პრობლემა არ იქნება, რადგანაც შესაბამისი ბაზრობების ხელმძღვანელობებთან ეს საკითხები განხილულია და შეთანხმებულები ვართ იმაზე, რომ გარე მოვაჭრეები განვათავსოთ შესაბამის, კანონით განსაზღვრულ, ვაჭრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიებზე. ამიტომ, ნუ მივცემთ ამ ხალხს ფუჭ იმედებს იმისა, რომ თითქოს ვიღაც მათ მფარველობას აღმოუჩენს და ისევ გააგრძელებენ ვაჭრობას ქალაქის იმ სექტორებში, რომლებიც ვაჭრობისათვის დახურულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ბატონო იოსებ, დამერწმუნეთ, რომ ვერსად ნახავთ ისეთი ტიპის ინტერვიუს, იქნება ეს საგაზეთო, თუ სატელევიზიო, სადაც პარტია „ერთიანი ნაციონალურო მოძრაობის“ სახელით გამოვდიოდე არა მხოლოდ მე, რომელიმე ჩვენგანიც კი და მხარს ვუჭერდეთ გარე ვაჭრობას, ყოველთვის პირიქით იყო ეს, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დრო და ადგილი, მაგალითად, თქვენ მიერ ნახსენებ შემთხვევაში, როდესაც ყვავილებით მოვაჭრეებს გამოვექომაგეთ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, იქ იყო სწორედ ამ მოვაჭრეებისათვის გაურკვეველი სიტუაცია, მათი თქმით, მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მოახდინა ზედამხედველობის სამსახურმა, მათი იმ

ტერიტორიიდან გაყვანა და ხალხმა არ იცოდა რა ექნა და ყველა თვლიდა, რომ რჩებოდნენ ჰაერში, რეალურად კი, ინფორმაციული ვაკუუმის ბრალი იყო ის ყველაფერი და სწორი კომუნიკაციის არსებობის პირობებში ისეთი უხერხულობა აღარ მოხდებოდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ზ.მამასახლისი** (პარტია „ქართული ოცნება“): „გარკვეულწილად, ეს ყველაფერი ყველა მთავრობის ბრალია, როგორც თქვენი, ასევე ჩვენი, მაგრამ ამ ეტაპზე ბრძოლა რადგან დაიწყო, ის უნდა იყოს უკომპრომისო და მისაყვანია ბოლომდე, მაგრამ ასევე დასარეგულირებელია ერთი გარემოება, როდესაც ბაზრის დირექტორი გვთანხმდება, მის ტერიტორიაზე, გარე მოვაჭრეების შეღავათიან ფასებში შეშვებაზე, მაშინ იმ ხალხმა რა დააშავა, ვინც თავიდანვე ბაზარში ვაჭრობდა? ხომ არიან ისინი არათანაბარ პირობებში? აი, ეს უნდა დარეგულირდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს ყველაფერი, ანუ ჯერ ერთი, თავად გარე ვაჭრობის ფაქტის არსებობა და მერე მეორე, მისი მასშტაბები, განპირობებულია მძიმე სოციალური ფონით, გამომდინარე აქედან, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ ეტაპზე, გარე მოვაჭრეთა აბსოლუტურ უმრავლესობას შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც ისინიც კარგად წარმართავენ თავიანთ საქმეს და ქალაქის იერსახეც შენარჩუნდება.“

დღის წესრიგის მესამე საკითხზე დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონი ა.კოხრეიძე, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, გ.კილაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 10-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ბატონებმა: გ.შუშანიამ, რ.ქვაჩკიძემ, ლ.შალამბერიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ეკა გრიგორაშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N 7 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 – მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის /გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N7** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მეორე პუნქტი; დადგენილების პროექტის პრეამბულაში ფრაზის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის „საქართველოს“; გამომდინარე აქედან, აღნიშნული ფრაზა**

ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის“; დადგენილების პროექტის N1 და N2 დანართების პირველი მუხლების პირველ პუნქტებში ფრაზის: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; დადგენილების პროექტის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 მუხლების შესაბამისად, ამ პროექტის N3, N4, N5, N6 დანართების სათაურებთან ჩაემატა სიტყვა: „ფორმა“) ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებისას, ბატონო ირაკლი, თქვენ ახსენეთ მთელი რიგი საკანონმდებლო, ნორმატიული აქტებისა, რომლებითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი, მათ შორის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიც. ახლა კი, ადამიანებისათვის გასაგები რომ იყოს, მითხარით, თუ რა კონკრეტულ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ჯარიმის გამოწერა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე**: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 125-ე პრიმა მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკირების საფასურის გადაუხდელობისა და პარკირების წესების დარღვევის გამო, იწერება ამ ტიპის ჯარიმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კი მაგრამ, არასწორ დგომას ხომ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები აჯარიმებენ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -

იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე**: „არა, ორ ხაზს შორის გვერდულად დგომა, ან ხაზების დარღვევით პარკირება და მსგავსი დარღვევები, განსაზღვრული გახლავთ 125-ე პრიმა მუხლში, ასევე ეს ყველაფერი განსაზღვრული გახლავთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა პარკირების წესები, ეს ყველაფერი მაშინ მივიღეთ, როდესაც „პარკინგსერვისი“ შეიქმნა და მისი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. კერძოდ, 2017 წელს მოხდა ეს ყველაფერი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს კითხვა რატომ დავსვი იცით? როდესაც ქალაქის მასშტაბით მოქალაქეები ყიდულობენ „პარკინგსერვისის“ მომსახურებას და ამაში ფულს იხდიან, ძალიან დიდი ნაწილი ვერ ღებულობს იმ პროდუქტს, რაშიც ფული გადაიხადა, ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს სწორედ „პარკინგისათვის“ განკუთვნილი ადგილები, წარმოიდგინეთ ფული გადაიხადეთ, მაგრამ ადგილი არ არის და მანქანას ვერსად აჩერებთ, ამ შემთხვევაში მოქალაქეები იძულებულები ხდებიან სხვაგან გააჩერონ მანქანა, სადაც თავისუფალ ადგილს ნახავენ. ამ შემთხვევაში, როდესაც ფული გადაიხადე, მაგრამ სერვისს ვერ ღებულობ, რამდენად სამართლიანი და სწორია ადამიანის დაჯარიმება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პარკინგსერვისისათვის“ გადაცემული არის იჯარის ფორმით, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარკვეული მიწები, რომელზეც „პარკინგსერვისი“ ახდენს ადმინისტრირებას. გამომდინარე აქედან, როდესაც მოქალაქე ყიდულობს ამ მომსახურებას, მას განემარტება, თუ რა ტიპის სერვისი იყიდა და ქალაქის რომელ კონკრეტულ ტერიტორიაზე მოქმედებს ეს ყველაფერი. ანუ, ამ შემთხვევაში ეს წესი ეხება „პარკინგსერვისისათვის“ იჯარის ფორმით გადაცემულ მიწებზე მანქანის პარკირების წესს. სხვაგან კი, ეს ადმინისტრირება არ ხდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პარკინგსერვისს“, ვთქვათ და გააჩნია 100 საპარკინგე ადგილი და ასევე მაგალითისათვის ვთქვათ, რომ საპარკინგე უფლება ნაყიდი

აქვს 200 მანქანას. აი, ეს მოქმედება მენეჯმენტის მხრივ, რამდენად სწორად მიგაჩნიათ? როდესაც პროდუქცია არის იმაზე ნაკლები, ვიდრე კლიენტი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, მე კონკრეტული შპს-ს ბიზნეს მართვასა და ადმინისტრირებაში არ ვერევი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თქვენი ნათქვამის აზრს ვერ ჩავწვდი, ანუ, თქვენი ვარაუდით, მაგალითად, 500 000-მდე მანქანა შეიძლება ერთდროულად გაჩერდეს ქუთაისის ტერიტორიაზე და ყველა მათგანს დასჭირდეს პარკინგი? ნამდვილად არ ვიცი „პარკინგსერვისის“ ადმინისტრირების ქვეშ რამდენი ერთეული საპარკინგე ადგილია გათვალისწინებული, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ შპს-ს აქვს კონკრეტული ზონები გადაცემული და ამის მიხედვით ახდენს მის საქმიანობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, უფრო ნათლად რომ დაგიხატოთ არსებული სურათი, მოგახსენებთ, რომ ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, ყოველდღიურად გადაადგილდება ჩვენს ქალაქში რეგისტრირებული და არარეგისტრირებული 43 000-დან 45 000-მდე ავტომობილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, „პარკინგსერვისის“ ადმინისტრირების ფარგლებში რამდენი საპარკინგე ადგილი გააჩნია, ეს იცით, თუ არა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ყველაფრის სტატისტიკა არსებობს, ბატონო ირაკლი და ქონების მართვის სამსახურის მიერ, „პარკინგსერვისს“ მფლობელობაში მიწის რამდენი ნაკვეთი გადაეცა და რისთვის, ყველაფერი კარგად ვიცი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჰოდა, რა ფართობია გადაცემული პარკინგისათვის და რამდენი მანქანა შეიძლება დადგეს ერთდროულად, ამაზე უნდა ვილაპარაკოთ ახლა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამას მე მეკითხებით, ბატონო ირაკლი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არა, ბატონო ბესო, თქვენ კითხულობთ და პასუხს გცემთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რასაც ვკითხულობ, ეს მოდის იქედან, რომ რეალურად რასაც ყიდით, იმ მოცულობის პროდუქტი არ არის საკმარისი და ვისზეც ყიდით, ის ადამიანები, ანუ მომხმარებლები, ამის გამო ვერ ღებულობენ იმ მომსახურებას, რაშიც ფული გადაიხადეს, ანუ, არ არის პარკინგისათვის საკმარისი ადგილები გამოყოფილი და ამის ფონზე რამდენად სამართლიანია ამ ხალხის დაჯარიმება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ზუსტად, რომ არასწორად აყენებთ ახლა საკითხს, ბატონო ბესო. აქ საუბარი არის კონკრეტულად „პარკინგსერვისზე“ და თქვენ უნდა ისაუბროთ ზუსტად ამ ყველაფრის ფარგლებში, თუ რამდენი რესურსი აქვს ამ შპს-ს და რამდენს უწევს მომსახურებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პარკინგსერვისზე“ თუ გსურთ ლაპარაკი, როდესაც მორჩება ეს სხდომა, აქვე ჩავიდეთ, ჩვენი შენობის წინ მდებარე პარკინგზე და ვნახოთ იქ განთავსებული მანქანებიდან, რომლებიც მერიისა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებს ეკუთვნით და სათითაოდ დავითვალოთ, თუ რომელს აქვს ნაყიდი „პარკინგსერვისის“ მომსახურება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, , ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“) „რაზე დავობთ საერთოდ, ჯარიმდება ის მანქანა, ვისაც ეს სერვისი არა აქვს ნაყიდი და ისე ახდენს მის პარკირებას.“

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონი ა.კოხრეიძე, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, გ.შუშანია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 10-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ბატონებმა: გ.კილაძემ, რ.ქვაჩკიძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N 8 დადგენილების** პროექტში.

(„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N8** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ი.ჟორჟოლიანმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონი ა.კოხრეიძე, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, გ.შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, ივანე ჟორჟოლიანის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ **განკარგულება N39** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

აქვე, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა განმარტა**: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე, საკრებულოს პირველ სხდომაზე მიღებულ იქნა განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კომისიებში ფრაქციებისაგან საკრებულოს წევრთა წარდგენისა და აგრეთვე, საკრებულოს იმ წევრთა წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში.

აღნიშნული დოკუმენტის მიღების შემდეგ, საკრებულოში გამოიკვეთა ახალი გარემოებები. თავიდან, საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობა გათვლილი იყო

საკრებულოს 65 წევრზე. აქედან გამომდინარე, ხუთივე კომისიაში გაერთიანებული იყო 13-13 წევრი. აღნიშნულის გათვალისწინებით, განაწილდა წარმომადეგნლობის კვოტები ფრაქციებისა და იმ წევრთა წარმომადგენლობისათვის, რომლებიც არცერთი ფრაქციაში არ არიან გაერთიანებული. ფრაქცია „ქართული ოცნებისათვის“ თითოეულ კომისიაში დადგინდა 7-7 წევრი, ფრაქცია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ - 5-5 წევრი, ხოლო იმ წევრთა მიერ, რომლებიც არცერთი ფრაქციაში არ არიან გაერთიანებული - 1-1 წევრი. 2021 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული კვოტები შესაბამისობაში იყო იმ დროისათვის კომისიებში წარმოდგენილ შემადგენლობებთან. ამის შემდეგ, საკრებულოს სამმა წევრმა (ელეონორა არჩაიამ, ნინო ჩიკვაშვილმა და კობა გურულმა) გამოთქვა სურვილი ორ-ორ კომისიაში გაწევრიანებაზე. ამასთან, ერთმა წევრმა, ბესიკ ხამაშურიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება“), რომელიც გაერთიანებული იყო მხოლოდ ერთ კომისიაში (კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია) გამოთქვა სურვილი მეორე კომისიაში გაერთიანებაზეც (ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია). საჭირო გახდა კიდევ 7 ადგილი, რის საშუალებაც რეალურად არსებობდა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავიდან 65 წევრზე იყო გათვლილი კომისიებში წევრთა ოდენობა, საკრებულო უფლებამოსილი იყო, დაემატებინა 5 ადგილი (რადგან, 35 წევრისათვის ორ-ორ კომისიაში გაერთიანების მიზნით, საჭიროა 70 ადგილი), ამასთან, იურიდიულ საკითხთა და კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიებში ნაცვლად 13-13-ისა, წარდგენილი იყო 12-12 წევრი, აქაც იყო რეზერვი 2 წევრისა. ანუ, 7 ადგილის შესაძლებლობა ფაქტობრივად, არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაჩნდა საშუალება შეცვლილიყო კომისიებში წევრთა ოდენობა არსებული რეალობის გათვალისწინებით, აქედან გამომდინარე კი-, საკრებულოს კომისიებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები. სხვადასხვა კომისიებში სხვადასხვა ოდენობით.

გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს თითოეულ წევრს უფლება აქვს იყოს ორი კომისიის წევრი, ფრაქცია „ქართულ ოცნებას“, რომელიც საკრებულოში 18 წევრით არის წარმოდგენილი, გაუნაწილდა 36 ადგილი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა“, რომელიც შედგება 12 წევრისაგან, გაუნაწილდა 24 ადგილი (ყველა კომისიაში ჰყავს 5-5 წევრი, კულტურის კომისიაში წარმოდგენილი ჰყავს 4 წევრი), საკრებულოს 5 წევრს (ბ.ბრეგვაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული) -10 ადგილი. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან საკრებულოს არცერთ ფრაქციაში, არ გამოუხატავთ სურვილი იურიდიულ საკითხთა კომისიაში გაწევრიანების შესახებ. მათ ათვისებული აქვთ 10 ადგილი, მეტის შესაძლებლობა კანონის მიხედვით არ გააჩნიათ. კვოტების ხელახლა განსაზღვრის დროს, მხედველობაში იქნა მიღებული შექმნილი რეალური მდგომარეობა და იურიდიულ საკითხთა კომისიის კვოტაც აქედან გამომდინარე დადგინდა საკრებულოს იმ წევრთათვის, რომლებიც არ არიან საკრებულოს არცერთ ფრაქციაში გაერთიანებული. აქვე განვმარტავ, რომ თუ რომელიმე მათგანს სურვილი გაუჩნდება იურიდიულ კომისიაში გაერთიანებისა, შესაძლებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

ცვლილებებმა გავლენა მოახდინა საკრებულოს კომისიებში როგორც ფრაქციათა წარმომადგენლობის, ასევე საკრებულოს იმ წევრთა წამომადგენლობით კვოტებზე, რომლებიც არ არიან საკრებულოს არცერთი ფრაქციის წევრები. გამომდინარე აქედან, საჭირო გახდა ზემოხსენებული განკარგულების შეცვლა. იმის გამო, რომ ცვლილება განიცადა განკარგულების ყველა მუხლმა, მიზანშეწონილად ჩაითვალა, აღნიშნულის თაობაზე, 2021 წლის 3 დეკემბერს მიღებული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და განკარგულების ჩამოყალიბება თავიდან, შეცვლილი რედაქციით.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქალბატონო თეა, ახალი კვოტირების ფარგლებში, იურიდიულ კომისიაში, დამოუკიდებელი დეპუტატებისათვის გათვალისწინებული არის ნოლი კვოტა, ხომ ასეა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „დიახ, ბატონო ბესო და ეს შედეგი თავის მხრივ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საკრებულოს იმ წევრებისგან, რომლებიც არ არიან

საკრებულოს ფრაქციის წევრები, არავინ ისურვა შემოსულიყო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანუ, სურვილზეა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „განცხადებები რომ ყოფილიყო შემოსული, მაშინ აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული, თუმცა, არ შემოვიდა და ამის მიხედვით განაწილდა შემდგომ კვოტები. კერძოდ, „ქართულ ოცნებას“ ჰყავს 18 წევრი და შესაბამისად, 36 ადგილიანი კვოტა გააჩნია, ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს 12 წევრი და 24 ადგილით განესაზღვრა კვოტა, 5 წევრი გახლავთ, რომლებიც საკრებულოს არცერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი და შესაბამისად, 10 ადგილით აქვს განსაზღვრული კვოტირების ზღვარი, მათ უკვე ეს 10 ადგილი აითვისეს სხვა კომისიებში და შესაბამისად, თავისუფალი ადგილი ამ მხრივ, აღარ დარჩა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არ ვიცი, ქალბატონო თეა, შეიძლება მე მჭირს რაღაც, მაგრამ რა ხდება, ვერ გავიგე. სხვა კითხვას ვსვამ და სხვა პასუხს მცემთ. ამ კითხვის არსი მოდიოდა სწორედ იქედან, რომ შემიძლია თუ არა მე, საკრებულოს დამოუკიდებელ წევრს, რომელიც არცერთ ფრაქციაში არა ვარ გაერთიანებული, იურიდიულ საკითხთა კომისიაში შესვლა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „შეგიძლიათ, ოღონდ, ამისათვის საჭიროა სხვა რომელიმე კომისიიდან გამოხვიდეთ, რომელშიც გაწევრიანებული ბრძანდებით (რადგან, კანონის თანხმად, მხოლოდ ორ კომისიაში გაწევრიანების უფლება გაქვთ), რითაც კვოტა გამოთავისუფლდება და აი, ამ გამოთავისუფლების შემდეგ, ისევ, ხელახლა აითვისებთ, ისევ, თქვენი შეხედულებისამებრ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანუ, ახლა მე რომ ეს გავაკეთო, შესაძლებელია და საკრებულოს მხრიდან ამაზე დამატებით წინააღმდეგობას არ შევხვდები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „ასე რომ არ იყოს, მაშინ, საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში, ასეთი განსხვავებული რაოდენობები არ გვექნებოდა, მაგალითად, საქალაქო მეურნეობისა და ქონების მართვის კომისიაში მუშაობის სურვილი ძალიან ბევრმა დეპუტატმა გამოხატა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ, საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაერთიანებული არა ხართ არცერთ ფრაქციაში, ასევე ფრაქციასაც ეხება ეს, წარმომადგენლობითი რაოდენობის მიხედვით არის გადანაწილებული ეს კვოტები, თქვენ, დანარჩენ ოთხ კომისიაში გაქვთ კვოტა, რომელიც უკვე აითვისეთ. ამიტომ, იმ კომისიაში, რომელში შესვლის მოთხოვნაც არ ყოფილა, იმ ათვისებულების ფონზე, ვეღარ გაგიჩნდებოდა კიდევ კვოტა. თუ თქვენ, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი, მოინდომებთ ცვლილებას და კვოტას გამოათავისუფლებთ, მაშინ, შესაბამისი კომისია განიხილავს ამ საკითხს. ანუ, თუ კვოტა გექნებათ, მაშინ, თქვენი განცხადების საფუძველზე, მოახერხებთ იურიდიულ საკითხთა კომისიაში გაწევრიანებას, მაგრამ კვოტა თუ არ გექნებათ, მაშინ ეს ვერ მოხერხდება. თუ თქვენ თუ მოისურვებთ იურიდიულ კომისიაში გაერთიანებას და მოითხოვთ ამას, მაშინ ამ საკითხს გადავხედავთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ გადახედავთ რას ნიშნავს. ანუ, თქვენი შეხედულებისამებრ, ხდება ამ გადაწყვეტრილების მიღება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, შევიტანთ ცვლილებას შესაბამისი განცხადების საფუძველზე“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შეიტანთ და ვალდებულიც ბრძანდებით, რომ ამ ტიპის განცხადება მიიღოთ მხედველობაში და მიიღოთ, ან არ მიიღოთ იმ ტიპის გადაწყვეტილება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „5 საკრებულოს წევრს, რომლებიც არა ხართ საკრებულოს არცერთი ფრაქციის

წევრი, უკვე ათვისებული გაქვთ 10 ადგილი. თქვენი სურვილი და განცხადება დაკმაყოფილებულია. თუ თქვენი მოთხოვნა გაჩნდება სხვა კომისიაზე, სადაც დამოუკიდებელ დეპუტატს არა აქვს კვოტა, ასეთი გაჩნდება“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ კვოტა არ არის და მაქვს სურვილი ვიყო იურიდიულ საკითხთა კომისიაში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მაშინ ვერ იქნებით იმ კომისიის წევრი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): თქვენი პასუხიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ თურმე, საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ყოფილა, ვიდრე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის საფუძველზეც, საკრებულოს წევრებს საშუალება გვაქვს, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ ავირჩიოთ ნებისმიერი კომისია და იქ გავწევრიანდეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „თქვენი უფლება არის რეალიზებული, ბატონო ბესო, თქვენ კანონის საფუძველზე არ შეგიძლიათ იყოთ ორზე მეტ კომისიაში. ხუთი დეპუტატი ხართ და 10 ადგილი გაქვთ კვოტით, თუ თქვენ გადაწყვეტთ იმ ორიდან რომელიმე კომისიის დატოვებას, ამ შემთხვევაში აუცილებლად გადაიხედება კვოტირების განსაზღვრის საკითხი თავიდან და განაწილდება ხელახლა და ისეთნაირად, როგორიც იქნება მოთხოვნა. ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, რომ თქვენ შეგიზღუდოთ უფლება, თავად აირჩიოთ სამუშაო კომისიები, მითუმეტეს, რომ თქვენი სურვილის გათვალისწინების საშუალება განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, ამის შესაძლებლობას იძლეოდა. კანონის საფუძველზე გაქვს ორი ნებისმიერი კომისიის არჩევის საშუალება და ამ არჩევანის გაკეთებაში ხართ აბსოლუტურად თავისუფალი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კანონის საფუძველზე, თქვენთვის განკუთვნილი არის 10 კვოტა, ამ მოცემულობაში, ამაზე მეტი ადგილი ფიზიკურად ვერ გაჩნდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე**: „თქვენ რასაც აკეთებთ ბატონო ბესო, არის თვალთმაქცობა. მშვენივრად იცით არითმეტიკა. საკრებულოს ხუთი წევრიდან სამი რომ ხართ, ამას რატომ ვერ ხედავთ და ნულზე აგეხილათ თვალი? წამოგყვათ საკრებულო და კვოტები დავამტკიცეთ თქვენი სურვილის გათვალისწინებით. ამ კვოტებს საკრებულოს ყველა სხდომაზე ხომ არ შევცვლით. თავიდან საკრებულოს ყველა წევრის განცხადება არ იყო შემოსული და ახლა უკვე სამოცდაათივე ადგილი ათვისებულია. საკრებულოს ყველა წევრი უკვე არის ორ-ორი კომისიის წევრი. შეიცვლება ეს, მაგრამ ყველა სხდომაზე თუ ვცვალეთ რა გამოვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მარტივი არითმეტიკაა. საკრებულოს დამოუკიდებელ იმ წევრებს, რომლებიც საკრებულოს არცერთი ფრაქციის წევრები არა ხართ, იმაზე მეტი კვოტა ვერ გექნებათ, ვიდრე, პროპორციულად ხართ წარმოდგენილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ბატონო ირაკლი, თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ დამოუკიდებელი საკრებულოს წევრი".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონო თეა, შემოვდივარ წინადადებით, ყველგან, ბატონი ბესო მოვიხსენიოთ საკრებულოს წევრად, რომელიც საკრებულოს არცერთ ფრაქციაში არ არის გაერთიანებული. აი, ასეთი ფორმულირება გამოვიყენოთ ყველგან. თუმცა, ყველა განკარგულებაში ფორმულირება სწორია და გამართულია იურიდიულად."

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონი ა.კოხრეიძე, ბატონები: რ.ქვაჩაკიძე, კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, გ.შუშანია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, წინააღმდეგი: 6 წევრი, ქალბატონები: ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ბატონები: ბ.ბრეგაძე, თ.მესხი, გ.კილაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა ერთმა წევრმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება N40** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება სხდომაზე 15 წუთიანი შესვენების გამოცხადებასთან დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონი ა.კოხრეიძე, ბატონები: რ.ქვაჩაკიძე, კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, გ.შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მიმდინარე სხდომაზე გამოცხადდეს შესვენება 15 წუთით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N41** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N42** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **განკარგულება N43** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N44** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარის თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N45** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-11 საკითხის განხილვის შემდგ (17 სთ. და 30 წთ.) **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია** შემოვიდა წინადადებით, მიმდინარე სხდომის მუშაობის 2022 წლის 21:00 საათამდე გაგრძელების თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ მიმდინარე სხდომის მუშაობის 2022 წლის 21:00 საათამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია

გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მიმდინარე სხდომის მუშაობა გაგრძელდეს 2022 წლის 26 იანვრის 21:00 საათამდე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 იანვრის №44-442018529 წერილობითი მომართვის შესაბამისად:“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, მირზა მამასახლისის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N 46 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N46** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-13 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ**

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 იანვრის №44-4422018528 წერილობითი მომართვის შესაბამისად:“; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში, პროექტის სათაურის შესატყვისად, სიტყვა: „სასყიდლიანი“, შეიცვალა სიტყვით: „სასყიდლით“),** ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

მან, აქვე განმარტა: „როგორც საკრებულოს შესაბამისი კომისიისა და ასევე საკრებულოს ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, ხსენებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე და მისი საერთო ფართობი შეადგენს 237 კვადრატულ მეტრს, რომელიც აქამდე იყო სახელმწიფო საკუთრებაში და ჩვენი წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, საკუთრებაში გადმოეცა ადგილობრივ თვითმმართველობას. ახლა კი შემოვდივართ წინადადებით, რომ უძრავი ქონების ხსენებული ერთეული გადაეცეს ააიპ „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელს“ მისი შემდგომი ექსპლოატაციისათვის. რაც შეეხება, განკარგვის ფორმას, იჯარის სახით, 12 წლის ვადით ხდება აღნიშნული ააიპ-ისათვის მისი გადაცემა. საიდანაც ორი წელი განისაზღვრა როგორც საშეღავათო პერიოდი, ხოლო, დარჩენილი ათი წელი კი, უკვე განკუთვნილია იჯარის გადასახდელად.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პირველ რიგში მინდა გამოვხატო ძალიან დიდი პატივისცემა აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ და იქ მოღვაწე თითოეულ პიროვნებას წარმატება ვუსურვო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ბატონო ირაკლი, მეც დიდი სიამოვნებით ვუერთდები თქვენს მიერ გამოხატულ პატივისცემას, აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ და ასევე დიდ წარმატებას ვუსურვებ თავიანთ საქმიანობაში. ასევე მსურს აღვნიშნო, რომ კიდევ არის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თუ თეატრაული დასი, რომლებსაც წლების განმავლობაში აქვთ მთელი რიგი პრობლემებისა და კარგი იქნებოდა, თუ მათაც აღმოვუჩენდით დახმარებას თავიანთი საქმიანობის სრულფასოვან წარმართვაში. საბედნიეროდ, საკმაოდ ბევრი ასეთი ორგანიზაცია გაგვაჩნია მთელი ქუთაისის მასშტაბით და ნამდვილად კარგი იქნებოდა, თუ ყველა მათგანი შეძლებდა სრულად ფუნქციონირებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „ჩემის მხრიდან, გამოვხატავ სრულ მზაობას აღნიშნული საკითხის მიმართ და ასევე მივმართავ აღმასრულებელ რგოლსაც, რომ შესაბამისი წერილობითი მომართვის შემთხვევაში, მსგავსი ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გავუწიოთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით, შესაბამისი დახმარება, ფართის გადაცემის სახით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 25 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი, ბატონი გ.კილაძე), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, მირზა მამასახლისის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N47 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N 47** ოქმს თან ერთვის)

<u>შენიშვნა:</u> მე-13 საკითხთან დაკავშირებით გამართული ღია კენჭისყრის დროს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას მიერ, ხმის მიცემის შედეგებიდან გამომდინარე, საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდა ერთხმად მიღებულად (კენჭისყრის პროცედურის ჩატარების დროს საკრებულოს არცერთ წევრს არ გამოუხატავს განსხვავებული დამოკიდებულება), კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საკრებულოს წევრმა, ბატონმა გ.კილაძემ საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან-სამდივნო განყოფილების უფროსთან, ქალბატონ ც.პატარიძესთან განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ამ საკითხის მიღებისა და ითხოვა შესწორების შეტანა კენჭისყრის შედეგებში. ქალბატონმა ც.პატარიძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე სხდომას გააცნო საკრებულოს წევრის, გ.კილაძის განცხადება დღის წესრიგის მე-13 საკითხზე გამართული კენჭისყრის თაობაზე მისი დამოკიდებულების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას წინადადებით, საკრებულოს მიმდინარე სხდომამ გაითვალისწინა რა საკრებულოს წევრის, ბატონ გ.კილაძის განცხადება, შესწორება შეიტანა აღნიშნული საკითხის თაობაზე საკრებულოს მიერ მიღებულ საოქმო გადაწყვეტილებაში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-14 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატა სიტყვა: უძრავი"; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 იანვრის №44-4422018527 წერილობითი მომართვის შესაბამისად:")**, ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

მან, აქვე განმარტა: „ეს საკითხი გულისხმობს, საიჯარო ქირის საფასურის გადახდის შედეგად, იჯარის ფორმით, ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე უძრავი ქონების განკარგვას. ჩემი აზრით, მსგავსი ტიპის მოქმედებები მიმართულია კერძო ბიზნესის წახალისებისაკენ და ხელს უწყობს ამ საქმიანობით დაკავებულ პირებს, საკუთარი მიზნების მიღწევაში. კერძოდ, კიბის უჯრედების მოწყობის მიზნით ხდება დაახლოებით 2 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის გადაცემა და აღნიშნული საკითხის ვიზუალურ მხარესთან დაკავშირებით, გარკვეული შენიშვნები ჰქონდათ ჩვენს დეპუტატებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ხელშეკრულებების დადების დროს. ამ ყველაფერზე კი, თავის მხრივ, უკვე გავლილი გვაქვს კონსულტაციები არქიტექტურის სამსახურთან. რაც შეეხება იჯარის ღირებულებას, ის შეადგენს 180 ლარს."

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს მირზა მამასახლისმა მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N48 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N48** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-15 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გრიგოლ წერეთელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 იანვრის №44-4422018526 წერილობითი მომართვის შესაბამისად:“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს მირზა მამასახლისმა მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის **N 49 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გრიგოლ წერეთელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N49** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე - 16 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თალიკო გურეშიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 26 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 იანვრის 44-4422018525 წერილობითი მომართვის შესაბამისად:“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

მან, აქვე განმარტა: „აღნიშნულმა ფიზიკურმა პირმა, წერილობით ფორმით მოგვმართა, კერძოდ, ჟიული შარტავას ქუჩის აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის იჯარით აღების თაობაზე, კომერციული ფართის უკეთესი ფუნქციონირების მიზნით კიბის უჯრედი სურს რომ განათავსოს.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „სანამ მომდევნო საკითხის განხილვას დავიწყებთ, მსურს ერთი ფაქტობრივი გარემოების შესახებ მოგახსენოთ, რასაც ადგილი ჰქონდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე, კერძოდ, იყო გარკვეული დისკუსია ერთ-ერთი საკითხის გარშემო, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა შეიქმნა, აქედან გამომდინარე, კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკითხის უფრო უკეთესი შესწავლის მიზნით, ამ ეტაპისათვის, ის სხდომაზე არ გაეტანა. ჩემი აზრით, ეს არის ძალიან კარგი პრეცედენტი, რომ განსხვავებულ აზრს და საერთო ინტერესებს ითვალისწინებთ, ასეთ წინდახედულ ქმედებებს მივყავართ ზუსტად დადებით შედეგებამდე. მოკლედ, ხსენებული კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან სანიკიძეს მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ამის გამო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ საკრებულოში მსჯელობის, დისკუსიის ფორმატი და სივრცე არსებობს. მაშინ, როდესაც თქვენი ფრაქციიდან დადგა ინიციატივა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც საკრებულოს ფრაქციის თანამდებობის პირს ეხებოდა, ჩვენ უზრუნველვყავით, რომ შესაბამისი კომისიის სხდომა ყოფილიყო მაქსიმალურად მოკლე დროში ჩატარებული. ამიტომ, თანამშრომლობის ფორმატები არსებობს. დღესაც მინდა აღვნიშნო ხაზგასმით, რეგლამენტირებულად ვისაუბროთ, პოზიციები გამოვხატოთ, საკრებულოს სხდომა განისაზღვრება მისი დღის წესრიგით, რომელზეც გვაქვს ჩვენ შეჯერებული პოზიციები ბიუროს სახით, კომისიურ ფორმატებში. საკრებულოს სხდომაზე უნდა ვიმსჯელოთ დღის წესრიგზე. დამატებით დებატებზე, აზრის გამოხატვის საშუალება არსებობს, უბრალოდ, ამას უნდა ჰქონდეს რეგლამენტირებული ფორმა და არ უნდა გვჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ ვაცადოთ ერთმანეთს საუბარი, რადგან ამ ყველაფერს საზოგადოება ხედავს და საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს. მე დასაწყისში აღვნიშნე ბატონო გიგა, ეს ეხებოდა ტექნიკურ აღჭურვას, მათ შორის, დისტანციური აღჭურვის აპარატებს. გთავაზობთ, რომ თქვენი ფრაქცია ჩაერთოს. ბატონი ბესო, რომელიც არც ერთ ფრაქციას არ წარმოადგენს, მისი ხმაც ისმოდეს ამ რეგლამენტთან დაკავშირებით. მას ეს უფლება არ შეეზღუდება მიიღოს მონაწილეობა რეგლამენტის დახვეწაში.“

დღის წესრიგის მე-16 საკითხზე სხვა მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს მირზა მამასახლისმა მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის **N50 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თალიკო გურეშიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N50** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-17 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს ფრაქციის მოადგილის თანამდებობა გახლავთ პოლიტიკური. კანონმდებლობიდან გამომდინარე, ქალბატონ ხათუნას არ შეეძლო ამ პოზიციის დაკავება. ჩვენ კი კარგად მოგეხსენებათ, რომ კანონმორჩილი მოქალაქეები ვართ და

ამიტომ, ქალბატონი ქეთევანი გახდება ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და წარმატებები მინდა ვუსურვო ახალგაზრდა ადამიანს.“

დღის წესრიგის მე-17 საკითხზე სხვა მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N**51 ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების გამო, საკრებულოს მე-3 სხდომის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:53:49 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.